1964

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 3 1964 წ.

## შინაარსი


### საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

74. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 13 აპრილის № 306 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ.
75. საქართველოს სსრ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საწარმოო სწავლებიან შრომითს პოლიტექნიკურ სკოლებში სწავლების ვადის შეცვლის შესახებ.

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილებები

76. სოფლის მეურნეობის დარგის საწარმოთა და ორგანიზაციათა სოციალისტური შეჯიბრების პირობების შესახებ.
77. კომუნისტური შრომის დამკვრელებისა და კოლექტივებისათვის მოწმობების და დიპლომების დაწესებისა და დაბეჭდვის შესახებ.

№ 3
ეროვნული
ბიბლიოთეკა



78. სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო აგროქიმიური სამსახურის მოწყობის შესახებ.
79. საქართველოს სსრ ზოგიერთი სკოლისათვის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა სახელის მიკუთვნების შესახებ.
80. სავაჭრო ორგანიზაციების მიერ საქონლის დეცენტრალიზებული შესყიდვის გაძლიერების და მრეწველობასთან ვაჭრობის პირდაპირი კავშირ-ურთიერთობის გაფართოების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ.
81. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამატების შესახებ.
82. საფოსტო კავშირის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ.
83. იმ საწარმოებისა და დაწესებულებების სიის დამატების შესახებ, რომელთა სახლებიდან შეიძლება გამოსახლება სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად.
84. ნებაყოფლობითი საზოგადოების — საქართველოს მონადირეთა კავშირის (მონკავშირის) წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
85. სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის დარგში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" საქმიანობის გაფართოების შესახებ.
86. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ელექტროფიცირებული რკინიგზების საკონტაქტო ქსელის სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომებიდან ადმინისტრაციული წესით გამოსახლების შესახებ.
87. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1933 წლის 25 აპრილის დადგენილების გაუქმების შესახებ.
88. საქართველოს სსრ ქალაქებსა და დაბებში მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის მოწესრიგების შესახებ.
89. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 9 აპრილის № 286 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ.
90. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 9 ივნისის № 416 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის დამატების შესახებ.
91. ნადირობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 11 მარტის ბრძანებულების შეფარდების წესის დამტკიცების შესახებ.
92. რესპუბლიკაში ავტოსალტეების რემონტის მოწესრიგების შესახებ.
93. საავტომობილო ტრანსპორტით და საქალაქო ელექტროტრანსპორტით სარგებლობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის დაწესების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

94. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საქმის გაუმჯობესების შესახებ.

95. „საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ტრესტ „სოფლმეურნტრანსის“ სპეციალიზებული საავტომობილო მეურნეობების მიერ კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ტვირთების გადაზიდვის წესის შესახებ დებულების“ დამტკიცების თაობაზე.

96. „ლიტერატურულ ნაწარმოებთა საავტორო ჰონორარის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 19 ივნისის № 412 დადგენილების 24-ე პუნქტის მე-2 ნაწილის რედაქციის შეცვლის თობაზე.

97. საწარმოთა და დაწესებულებათა იმ სიის დამატების შესახებ, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით.

98. საქართველოს სსრ გეოლოგიური სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურის მოწესრიგების შესახებ.

99. რესპუბლიკის თოჯინების თეატრებში აბონემენტის გარეშე ღია წარმოდგენებზე მოზრდილთათვის ბილეთის ფასის დამტკიცების შესახებ.

100. ინდივიდუალურ მფლობელთა ავტომობილების კოლექტიური გარაჟისადგომების სამშენებლო-საექსპლუატაციო კოოპერატივის შექმნის შესახებ.

101. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ

102. ნისიად გაყიდული ხანგრძლივი სარგებლობის საქონლისათვის ანგარიშსწორების მოწესრიგების შესახებ.

103. საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოებისათვის დახმარების გაწევის ზომების შესახებ.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

## 74 სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 13 აპრილის № 306 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1964 წლის 13 აპრილს მიიღეს დადგენილება № 306 „სოფელ ადგილებში მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეთა საკარმიდამო მიწის ნაკვეთების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების თაობაზე“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. „1944 წლისათვის სამრეწველო საწარმოთა დამხმარე მეურნეობების განვითარების ზომების შესახებ“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 26 მარტის № 311 დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1944 წლის 12 აპრილის № 371 დადგენილების V განაყოფის მე-8 პუნქტი საკარმიდამო ნაკვეთის ოდენობის ნაწილში.

2. „საქართველოს სს რესპუბლიკაში ციტრუსოვანთა კულტურების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 4 მარტის № 237 დადგენილების მე-16 პუნქტის ქვეპუნქტი „ა“ საკარმიდამო ნაკვეთის ოდენობის ნაწილში.

3. „საქართველოს სსრ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოს 1953 წლის 4 დეკემბრის № 1621 დადგენილების მეორეპუნ-ქტი საკარმიდამო ნაკვეთის ოდენობის ნაწილში.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე |
| **ვ. მუავანაძე.** | **გ. ჯავახიშვილი.** |

ქ. თბილისი, 1964 წ. 15 აგვისტო, № 518

## 75 საქართველოს სსრ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საწარმოოსწავლებიან შრომითს პოლიტექნიკურ სკოლებში სწავლების ვადის შეცვლის შესახებ

„საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საწარმოოსწავლებიან შრომითს პოლიტექნიკურ სკოლებში სწავლების ვადის შეცვლის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 10 აგვისტოს № 665 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაწესდეს რესპუბლიკის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საწარმოოსწავლებიან შრომითს პოლიტექნიკურ სკოლებში რვაწლიანი სკოლის ბაზაზე სწავლების ორი წლის ვადა, ნაცვლად სამი წლისა.

2. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საწარმოოსწავლებიანი შრომითი პოლიტექნიკური სკოლების გადაყვანა სწავლების ახალ ვადაზე განხორციელდეს ორი წლის განმავლობაში, დაწყებული 1964 წლის 1 სექტემბრიდან.

3. მეათე და მეთერთმეტე კლასების მოსწავლეთა გამოშვება მოხდეს ერთდროულად — 1965-66 სასწავლო წლის დამლევს.

4. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შეიტანოს შესაბამისი ცვლილებანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო გეგმებსა და პროგრამებში, უზრუნველყოს საშუალო სკოლების გეგმაზომიერი და ორგანიზებული გადაყვანა სწავლების ახალ ვადაზე.

5. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, ყველა დაინტერესებულ სამინისტროსთან და უწყებასთან ერთად, განიხილოს 1965 და 1966 წლებში საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდობის შრომი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი მოწყობის საკითხი და თავისი წინადადებანი წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 1 იანვრისათვის.

6. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, სამრეწველო-საწარმოო პარტიულ კომიტეტებს და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების პარტიულ კომიტეტებს, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს მიიღონ საჭირო ზომები საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროსი კლასების მოსწავლეთა საწარმოო სწავლების სათანადოდ დაყენებისათვის, უზრუნველყონ მატერიალური ბაზის განმტკიცება და შემდგომი განვითარება საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში საწარმოო მომზადებისათვის.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე |
| **ვ. მჟავანაძე.** | **გ. ჯავახიშვილი.** |

ქ. თბილისი, 1964 წ. 26 აგვისტო, № 551.

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილებები

## 76 სოფლის მეურნეობის დარგის საწარმოთა და ორგანიზაციათა სოციალისტური შეჯიბრების პირობების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

სოფლის მეურნეობის მართვის გარდაქმნასთან დაკავშირებით, ნება მიეცეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს, საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“, სოფლის მეურნეობის და დამზადებათა მუშა-მოსამსახურეთა საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს გადასინჯონ სოციალისტური შეჯიბრების პირობები და დაამტკიცონ ახალი პირობები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 12 მარტის № 160 დადგენილებისა და პარტიისა და მთავრობის შემდგომი დადგენილებების შეასაბამისად.

| | |
|---|---|
| საქართველოს სსრ<br>მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე<br>**გ. ჯავახიშვილი.** | საქართველოს<br>პროფსაბჭოს თავმჯდომარე<br>**ზ. დოლიძე.** |

ქ. თბილისი, 1964 წ. 30 ივლისი, № 467.

## 77 კომუნისტური შრომის დამკვრელებისა და კოლექტივებისათვის მოწმობების და დიპლომების დაწესებისა და დაბეჭდვის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საჭიროდ ჩაითვალოს შემოღებულ იქნას კომუნისტური შრომის დამკვრელებისა და კოლექტივებისათვის მოწმობები, სიგელები და დიპლომები და დამტკიცდეს მათი ნიმუშები და აღწერილობა, №№ 1, 2, 3 და 4 დანართების თანახმად.

2. განისაზღვროს ტირაჟები:

მოწმობისა კომუნისტური შრომის დამკვრელებისათვის (რუსულ-ქართული ტექსტი) — 220 ათასი ცალის რაოდენობით;

სიგელისა კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდების მინიჭების შესახებ — 220 ათასი ცალის რაოდენობით;

მოწმობისა მრეწველობის, მშენებლობის საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების კომუნისტური შრომის ბრიგადის, უბნის, ცვლის წოდების მინიჭების შესახებ—25 ათასი ცალის რაოდენობით;

მოწმობისა კოლმეურნეობებში კომუნისტური შრომის რგოლის წოდების მინიჭების შესახებ — 3 ათასი ცალის რაოდენობით;

მოწმობისა კომუნისტური შრომის საამქროს, განყოფილების, ფერმის, აგროგანყოფილების (საბჭოთა მეურნეობებში) წოდების მინიჭების შესახებ — 4,5 ათასი ცალის რაოდენობით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწმობისა კოლმეურნეობათა კომუნისტური შრომის ბრიგადის, ფერმის წოდების მინიჭების შესახებ — 1,5 ათასი ცალის რაოდენობით;

დიპლომებისა კომუნისტური შრომის საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის (საქაღალდეებში) — 450 ცალის რაოდენობით.

3. დაეკისროს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს კომუნისტური შრომის დამკვრელებისა და კოლექტივებისათვის მოწმობების, სიგელებისა და დიპლომების დამზადება-დაბეჭდვის შემკვეთის ფუნქციები და დაევალოს მას უზრუნველყოს აღნიშნული დოკუმენტების დამზადება და დაბეჭდვა ამ დადგენილების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ტირაჟებით სახალხო მეურნეობის საბჭოს პლასტიკურ ნაკეთობათა ფაბრიკასა და ლითოოფსეტური ბეჭდვის ფაბრიკაში.

4. რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, საქართველოს პროფსაბჭოსთან შეთანხმებით, მისცენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს განაცხადი კომუნისტური შრომის დამკვრელებისა და კოლექტივებისათვის საჭირო რაოდენობის მოწმობების, სიგელებისა და დიპლომების დაბეჭდვის შესახებ.

აღნიშნული დოკუმენტების ღირებულებას აანაზღაურებენ სამინისტროები და უწყებები ცენტრალიზებული წესით საწარმოების, მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების სპეციალური ფონდების ხარჯზე.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს გამოუყოს საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტით 1964 წლის 1 იანვრისათვის გასავალზე შემოსავლის გადამეტების სახსრებიდან საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს 10 ათასი მანეთი იმ ხარჯების ერთი ნაწილის დასაფარავად, რომლებიც დაკავშირებულია კომუნისტური შრომის დამკვრელებისა და კოლექტივებისათვის მოწმობების, სიგელებისა და დიპლომების დამზადება-დაბეჭდვასთან.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას მისცეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს კომუნისტური შრომის დამკვრელებისა და კოლექტივებისათვის მოწმობების, სიგელებისა და დიპლომების დასამზადებლად და დასაბეჭდად 3,7 ტონა ცარცის ქაღალდი, 160 კილოგრამი საყდე მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაო (ფინური), 80 მეტრი ლიდერინი, 3 ტონა პოლიქლორვინილი ფისი და 1,2 ტონა დიბუთილფტალატი.

| | |
|---|---|
| საქართველოს სსრ<br>მინისტრთა საბჭოს<br>თავმჯდომარე<br>**გ. ჯავახიშვილი.** | საქართველოს<br>პროფკავშირთა რესპუბლიკური<br>საბჭოს თავმჯდომარე<br>**შ. დოლიძე.** |

ქ. თბილისი, 1964 წ. 13 აგვისტო, № 497.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და
საქართველოს პროფსაბჭოს 1964 წლის
13 აგვისტოს № 497 დადგენილების
დანართი № 1

## ალწერილობა

### მოწმობისა კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდების მინიჭების შესახებ

მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების საწარმოებისათვის მოწმობის გარეკანი არის პოლიეთილენის, წითელი ფერისა; საბჭოთა მეურნეობებისა, კოლმეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის სხვა საწარმოებისათვის — მწვანე ფერისა. ქვემო ნაწილის მარჯვენა კუთხეში — წარწერა ქართულ ენაზე „კომუნისტური შრომის დამკვრელი"; მარცხენა ნაწილის კუთხეში შრომის ემბლემის გამოსახულება.

მოწმობის შიგა ნაწილში, რომელიც აწყობილია სასტამბო წესით ქართულ და რუსულ ენაზე — ტექსტი წოდების მიკუთვნების შესახებ.

ზომა: 8 × 6,5 სანტ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და
საქართველოს პროფსაბჭოს 1964 წლის
13 აგვისტოს № 497 დადგენილების
დანართი № 2

## ალწერილობა

### სიგელისა კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდების მინიჭების შესახებ

სიგელის ფონი მკრთალი ვარდისფერია. მის ზემო ნაწილში გავლებულია 6 სანტ. სიგანის წითელი ზოლი, რომელზედაც მარჯვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნივ გამოსახულია ვ. ი. ლენინის ბარელიეფი, ხოლო მარცხნივ — ვ. ი. ლენინის ციტატი „ჩვენ მივაღწევთ კომუნისტური შრომის გამარჯვებას“.

სიგელის შუა ნაწილში თეთრ ფონზე — ტექსტი კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდების მინიჭების შესახებ. ქვემო ნაწილში — პანო, რომელიც ასახავს შრომას მრეწველობაში, მშენებლობასა და სოფლის მეურნეობაში.

ზომა: 18 × 26,5 სანტ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და
საქართველოს პროფსაბჭოს 1964 წლის
13 აგვისტოს № 497 დადგენილების
დანართი № 3

## ალწერილობა

**მოწმობისა კომუნისტური შრომის ბრიგადის, უბნის, ცვლის წოდების მინიჭების შესახებ მრეწველობის, მშენებლობის, საბჭოთა მეურნეობების საწარმოებში; კომუნისტური შრომის რგოლისა კოლმეურნეობებში; კომუნისტური შრომის საამქროსი, განყოფილებისა, ფერმისა, აგროგანყოფილებისა (საბჭოთა მეურნეობებში); კომუნისტური შრომის ბრიგადისა, ფერმისა კოლმეურნეობებში**

მოწმობის ფონი მკრთალი ვარდისფერია. მარჯვენა კუთხეში ვ. ი. ლენინის ბარელიეფი, ხოლო მის ქვემოთ ვ. ი. ლენინის ციტატი „ჩვენ მივაღწევთ კომუნისტური შრომის გამარჯვებას“; მარცხენა კუთხეში — სსრ კავშირის და საქართველოს სსრ ალმების გამოსახულება; შუა ნაწილში მსხვილი შრიფტით ბრინჯაოთი — მოწმობის სათაური და ტექსტი; სიგელის ქვემო ნაწილში — მხატვრული პანო, რომელიც ასახავს შრომას მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში.

ზომა: 23 × 30,5 სანტ.

26 × 34,5 სანტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და
საქართველოს პროფსაბჭოს 1964 წლის
13 აგვისტოს № 497 დადგენილების
დანართი № 4

## ალწერილობა

### დიპლომისა კომუნისტური შრომის საწარმოების და ორგანიზაციებისათვის (საქალალდეში)

სატიტულო ფურცელზე ზედა ნაწილის მარჯვენა კუთხეში ბრინჯაოთი — ვ. ი. ლენინის ციტატი ქართულ და რუსულ ენაზე: „ჩვენ მივალწევთ კომუნისტური შრომის გამარჯვებას"; შუა ნაწილში ორივე ენაზე — სათაური; დიპლომის შიგა ნაწილში — ტექსტი ორივე ენაზე; მონაკეცზე ბრინჯაოს ქართული ორნამენტი 1,5 სანტ. სიგანისა ყოველი მხრიდან.

საქალალდე მუქი ყავისფერია, რომელზედაც მარჯვენა კუთხეში გამოსახულია ვ. ი. ლენინის ბარელიეფი.

ზომა 28 × 43,5 სანტ.

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

## 78 სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო აგროქიმიური სამსახურის მოწყობის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 9 აპრილის № 319 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინადადების შესაბამისად, მოეწყოს 1964 წელს ანასეულში, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან ზონალური აგროქიმიური ლაბორატორია, ხოლო 1965 წელს — ასეთივე ლაბორატორიები სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს ნიადაგთმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან.

2. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს აღნიშნული დადგენილების თანახმად, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვშირო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან და საქართველოს სოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან ზონალური აგროქიმიური ლაბორატორიები მოეწყობა საკავშირო ბიუჯეტის ხარჯზე.

ეთხოვოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს გამოყოს მუშაკთა რაოდენობა და ხელფასის ფონდი ზონალური აგროქიმიური ლაბორატორიების მოსაწყობად ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან.

3. საქართველოს ნიადაგთმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან ზონალური აგროქიმიური ლაბორატორია მოეწყოს მუშაკთა იმ რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, რაც საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს დაუწესდა 1965 წლისათვის.

4. დაეკისროს ზონალურ აგროქიმიურ ლაბორატორიებს ნიადაგის, სასუქებისა და მცენარეთა მასობრივი ანალიზების ჩატარება, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიწების აგროქიმიური კარტოგრამების შედგენა და სასუქების უფრო რაციონალურად გამოყენების შესახებ რეკომენდაციების შემუშავება სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებთან და სპეციალისტებთან ერთად.

5. დაწესდეს, რომ ნიადაგის სინჯების შესარჩევად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მათ გასაგზავნად ზონალურ აგროქიმიურ ლაბორატორიებში და აგროქიმიური კარტოგრამების შესადგენად მოწვეული იქნებიან საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს მიწათმოწყობის საპროექტო ინსტიტუტის „საქმიწსახპროექტის“ და ნიადაგთმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ნიადაგთმცოდნეები.

6. დატოვებულ იქნას ზონალური აგროქიმიური ლაბორატორიების ორგანიზაციის პერიოდისათვის რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებთან მოქმედი აგროქიმიური ლაბორატორიები.

7. იმასთან დაკავშირებით, რომ დღეისათვის რესპუბლიკის დიდძალ ფართობებზე არ ტარდება ნიადაგობრივი გამოკვლევა ადგილობრივი პირობების სპეციფიურობის გამო (ნიადაგის საფარის დიდი სიჭრელე, რელიეფის დასერილობა და სხვა), ეთხოვოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ნება დართოს, რათა დამთავრდეს, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც გამონაკლისი, ნიადაგობრივი გამოკვლევა საქართველოს სს რესპუბლიკაში 1964-1966 წლების განმავლობაში.

8. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს:

ა) განსაზღვროს აგროქიმიური ლაბორატორიებისათვის მომსახურების ზონები, დააწესოს მუშაობის ყოველწლიური მოცულობა ცალკეული ლაბორატორიების მიხედვით, მოაწყოს რესპუბლიკის მიწის სავარგულების გამოკვლევის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიწების ნიადაგობრივი რუკებისა და აგროქიმიური კარტოგრამების შედგენის სამუშაოები;

ბ) დაამთავროს რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნიადაგობრივი რუკების შედგენა 1964-1966 წლების განმავლობაში, ხოლო აგროქიმიური კარტოგრამებისა იმ კულტურებისათვის, რომელთა განოყიერება ინტენსიურად ხდება, — 1964-1965 წლებში.

შემდეგში განაახლოს და დააზუსტოს აგროქიმიური კარტოგრამები საჭიროების მიხედვით;

გ) დააკომპლექტოს ზონალური აგროქიმიური ლაბორატორიები კვალიფიციური კადრებით;

დ) უზრუნველყოს ზონალური აგროქიმიური ლაბორატორიები ხელსაწყოების, მოწყობილობისა და რეაქტივების შესაძენად საჭირო სახსრებით;

ე) დააკისროს ზონალურ აგროქიმიურ ლაბორატორიებს საკვების ხარისხის ანალიზების გაკეთება, ამასთან აძლიოს მეურნეობებს სათანადო რეკომენდაციები მეცხოველეობაში მათი გამოყენებისათვის;

ვ) შეიმუშაოს ზონალური აგროქიმიური ლაბორატორიებისა და საცდელი სადგურების მონაცემების მიხედვით მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები იმის შესახებ, რომ განაწილდეს და ეფექტიანად იქნას გამოყენებული მინერალური სასუქები და სხვა ქიმიური საშუალებანი რესპუბლიკის ბუნებრივ-ეკონომიური ზონების მიხედვით.

9. რჩევა მიეცეთ რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, რომლებშიაც წარმოებს ნიადაგების გამოკვლევა და ნიადაგის ნიმუშების შერჩევა, გამოუყონ თავიანთ ხარჯზე აგროქიმიური ლაბორატორიების ნიადაგობრივი პარტიებისა და რაზმების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაკებს სატრანსპორტო საშუალებანი, სამსახურებრივი სადგომები, აგრეთვე საჭირო რაოდენობის მუშახელი.

10. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ, საქართველოს სსრ სახელმწიფო, საგეგმო კომისიასთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად, ათი დღის ვადაში შეიმუშაოს და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად აგროქიმიური ლაბორატორიების შტატები, საშტატო რაოდენობით 50 ერთეულის ფარგლებში.

აგროქიმიური ლაბორატორიების მუშაკთა თანამდებობრივი განაკვეთები დაწესდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სათანადო დადგენილების თანახმად.

ზონალური აგროქიმიური ლაბორატორიების იმ სპეციალისტების შრომის ანაზღაურება, რომლებსაც სამეცნიერო ხარისხი ან სამეცნიერო წოდება აქვთ, მოხდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სათანადო დადგენილების თანახმად.

11. 1965 წლიდან დაწყებული, ზონალური აგროქიმიური ლაბორატორიების შენახვა მოხდეს როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე, ისე იმ სახსრების ხარჯზეც, რაც შემოდის კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობებისაგან მიწის სავარგულების გამოკვლევის, ნიადაგის ნიმუშების შერჩევის და მათი ანალიზის, ნიადაგობრივი რუკებისა და აგროქიმიური კარტოგრამების შედგენის სამუშაოებისათვის, რომლებსაც ასრულებენ ზონალური აგროქიმიური ლაბორატორიები კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და სხვა მეურნეობებთან დადებული ხელშეკრულებებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დაწესებული ფასის მიხედვით.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ ორი თვის ვადაში შეიმუშაოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად წარმოუდგინოს მიწის სავარგულების გამოკვლევის, ნიადაგის ნიმუშების შერჩევისა და მათი ანალიზების გაკეთების, ნიადაგობრივი რუკებისა და აგროქიმიური კარტოგრამების შედგენის იმ სამუშაოთა ღირებულების ფასდება, რომლებსაც ასრულებენ ზონალური აგროქიმიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაბორატორიები კოლმეურნეობებთან და სხვა ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულებების მიხედვით.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ ყოველწლიურად რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენის დროს დააწესოს ოდენობა ბიუჯეტის წილობრივი მონაწილეობისა ზონალური აგროქიმიური ლაბორატორიების შესანახ ხარჯებში.

12. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას 1965 წლის გეგმის კორექტირების დროს გაითვალისწინონ კაპიტალური დაბანდებანი ზონალური აგროქიმიური ლაბორატორიების მშენებლობაში (ტიპობრივი პროექტების მიხედვით).

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ და სახსოფლმშენპროექტმა იმ დროიდან ერთი თვის ვადაში, რაც მიღებული იქნება სსრ კავშირის სახმშენის მიერ შემუშავებული აგროქიმიური ლაბორატორიების ტიპობრივი პროექტები, მოარგონ ისინი ადგილმდებარეობას ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტისათვის, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა და ნიადგთმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტისათვის.

13. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 9 აპრილის № 319 დადგენილების მე-13 პუნქტის შესაბამისად, დაევალოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ გამოუყოს 1964 წელს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს ზონალური აგროქიმიური ლაბორატორიისათვის: სატვირთო ავტომანქანები გაზ-63 — 2 ცალი და, როგორც გამონაკლისი, კოლმეურნეობებისათვის მისაყიდი ფონდიდან — მსუბუქი მანქანები გაზ-62 — ორი ცალი.

ავტომანქანები აღჭურვილ უნდა იქნან სპეციალური მოწყობილობითა და აპარატურით და მათი გამოყენება უნდა ხდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ ლაბორატორიების საჭიროებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 4 ივლისი, № 410.

## 79 საქართველოს სსრ ზოგიერთი სკოლისათვის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა სახელის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს თხოვნა:

ა) თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომისა და თბილისის 66-ე საშუალო სკოლას მიეკუთვნოს დიდი უკრაინელი პოეტის ტარას შევჩენკოს სახელი;

ბ) საჩხერის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომისა და საჩხერის რაიონის არგვეთის საშუალო სკოლას მიეკუთვნოს ცნობილი ქართველი პოეტის პაოლო იაშვილის სახელი;

გ) ჩოხატაურის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომისა და ჩოხატაურის რაიონის ხიდისთავის საშუალო სკოლას მიეკუთვნოს ცნობილი ქართველი მწერლის ჭოლა ლომთათიძის სახელი;

დ) ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომისა და ქუთაისის მე-17 საშუალო სკოლას მიეკუთვნოს საზოგადო მოღვაწისა და პედაგოგის მარიამ იოსების ასულ ყაუხჩიშვილის სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 9 ივლისი, № 417.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 80 სავაჭრო ორგანიზაციების მიერ საქონლის დეცენტრალიზებული შესყიდვის გაძლიერების და მრეწველობასთან ვაჭრობის პირდაპირი კავშირ-ურთიერთობის გაფართოების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ

იმ მიზნით, რომ უკეთ დაკმაყოფილდეს რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნილება სახალხო მოხმარების საქონელზე და მოზიდულ იქნას საქონელბრუნვაში საქონლის დამატებითი რესურსები, აგრეთვე გაფართოვდეს მრეწველობასთან ვაჭრობის პირდაპირი კავშირურთიერთობა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთოს სამეურნეო ანგარიშზე მყოფ ცალკეულ მაღაზიებს აწარმოონ საცალო და საბითუმო ვაჭრობის ორგანიზაციებთან ერთად, საქონლის დეცენტრალიზებული შესყიდვა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, აგრეთვე საჭირო შემთხვევებში, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს შეხედულებით, ვაჭრობის დიდი საწარმოების ხელმძღვანელებმა აწარმოონ საქონლის შესყიდვა სავაჭრო ორგანიზაციებისათვის.

სავაჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოების მუშაკთა მივლინება საქონლის დეცენტრალიზებული შესყიდვისათვის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მოხდეს იმ წესის შესაბამისად, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 22 ივლისის № 453 და 1956 წლის 1 თებერვლის № 42 დადგენილებებით.

ამასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 3 აგვისტოს № 515 დადგენილების მე-6 პუნქტის ქვეპუნქტი „ზ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 3 აგვისტოს № 515 დადგენილების მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ მიიღოს ზომები სამრეწველო საწარმოებთან ვაჭრობის საწარმოების პირდაპირი კავშირურთიერთობის გაფართოებისათვის, სატრანზიტო საქონლის გაგზავნისა და სამრეწველო საწარმოებიდან საქონლის სავაჭრო ქსელში შეტანის გაძლიერებისათვის, ამასთან იქონიოს მხედველობაში შუალედი რგოლების მაქსიმალურად შემცირება და საქონლის მიწოდების დაჩქარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ ცალკეულ შემთხვევებში, იმისათვის, რომ მოხდეს საქონლის დახარისხება საბითუმო ბაზებში, სრულად შემოწმდეს საქონლის ხარისხი და თავიდან იქნას აცილებული უფაქტურო საქონლის შეღწევა სავაჭრო ქსელში, — აწარმოოს გადიდებული მოთხოვნილების ზოგიერთი საქონლის შეტანა სამრეწველო საწარმოებიდან საბითუმო ბაზებში, რათა შემდგომ მიეწოდოს იგი სავაჭრო ორგანიზაციებსა და საწარმოებს ცენტრალიზებული წესით".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაჭაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 10 ივლისი, № 431.

## 81 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს მე-9 პუნქტს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის დებულებისა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 17 თებერვლის № 107 დადგენილებით, შემდეგი შინაარსის აბზაცები:

„დაამტკიცებს დაქვემდებარებული ორგანიზაციების სტრუქტურასა და შტატებს კომიტეტისათვის დაწესებული შრომის გეგმის, ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, ამასთან დაიცავს თანამდებობრივი განაკვეთების სქემებს.

კომიტეტისადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების ხარჯთაღრიცხვებს და სამტატო განრიგებს შემდგომ რეგისტრაციაში გაატარებენ საქართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს სსრ ფინანსთა სამინისტრო და შესაბამისი საფინანსო ორგანოები — კუთვნილებისამებრ".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჯირაჭაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 20 ივლისი, № 440.

## 82 საფოსტო კავშირის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 22 მაისის № 436 დადგენილების შესაბამისად და იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის მომსახურება საფოსტო კავშირით, აგრეთვე იმისათვის, რომ განმტკიცდეს მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს:

ა) უზრუნველყოს 1966—1970 წლებში მშენებლობა კავშირგაბმულობის 18 კვანძისა, 13 გადასაცვლელი პუნქტისა რკინიგზის სადგურებში და კავშირგაბმულობის 53 განყოფილებისა;

ბ) ფართოდ დანერგოს 1966—1970 წლებში საფოსტო ოპერაციების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებანი, ავტომატებისა და ნახევარავტომატების გამოყენება მარკების, კონვერტების, ღია ბარათებისა და გაზეთების გასაყიდად, აგრეთვე ფოსტის კონტეინერული გადაზიდვა;

გ) შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ჟურნალ-გაზეთებისა და წერილობითი კორესპონდენციის გაგზავნა-მიტანის ვადების მკვეთრად შემცირებას;

დ) 1965 წლის გეგმის დაზუსტების დროს გაითვალისწინოს კავშირგაბმულობის 3 კვანძისა და 10 განყოფილების მშენებლობა გეგმით გათვალისწინებული ობიექტების გადამეტებით.

2. ნება დაერთოს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) მიიღოს კავშირგაბმულობის საწარმოებში მასობრივი პროფესიების კავშირგაბმულობის ცალკეული კატეგორიების მუშაკები არასრული სამუშაო დღის განმავლობაში სამუშაოდ, აგრეთვე მოიზიდოს საფოსტო კორესპონდენციებისა და ჟურნალ-გაზეთების მისატანად შტატგარეშე ფოსტალიონები ისე, რომ მათი შრომა ანაზღაურებულ იქნას საათობრივი განაკვეთებით, იმ მინიმალური თანამდებობრივი განაკვეთების საფუძველზე, რომლებიც დაწესებულია მუშაკთა შესაბამისი კატეგორიებისათვის, მუშაკთა საშტატო რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში;

ბ) უფასოდ აძლიოს ფოსტალიონებს ორი წყვილი სპეცფეხსაცმელი წელიწადში.

3. დაევალოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს განიხილონ საფოსტო კავშირის ახლადმოწყობილი საწარმოებისათვის საწარმოო სადგომების გამოყოფის საკითხი, აგრეთვე გამოუყონ კავშირგაბმულობის განყოფილებებს ისეთი სადგომები, რომლებიც აკმაყოფილებენ საექსპლუატაციო მოთხოვნებს და მოსახლეობის კულტურული მომსახურების პირობებს.

4. დაევალოთ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, თბილისისა და ქუთაისის საქალაქო აღმასკომებს უფლება მიანიჭონ ფოსტალიონებს მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს უფასოდ იმგზავრონ საერთო სარგებლობის საქალაქო და შიგარაიონული ტრანსპორტით.

5. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ:

ა) გამოუყოს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს რკინიგზის სადგურების ტერიტორიაზე შესაბამისი ადგილები გადასაცვლელი საფოსტო პუნქტების მშენებლობისათვის, დანართის თანახმად;

ბ) სოხუმამდე ფოსტის პირდაპირი მოძრაობის მოსაწყობად შეიტანოს მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან ერთი საფოსტო ვაგონი თბილის-სოხუმის სამგზავრო მატარებლის შემადგენლობაში;

გ) დააყენოს გზათა სამინისტროს წინაშე საკითხი, რომ შეტანილ იქნას ერთი საფოსტო ვაგონი მოსკოვ-ბათუმის სამგზავრო მატარებლის შემადგენლობაში;

დ) მატარებელთა ახალი განრიგების შედგენისა და მოქმედი განრიგების შეცვლის დროს გაითვალისწინოს საქართველოს სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირგაბმულობის სამინისტროს წინადადებანი ჟურნალ-გაზეთებისა და ფოსტის გადაზიდვის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

6. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას გაითვალისწინოს:

ა) 1966—1970 წლებში — შტატებისა - და ხელფასის ფონდის გადიდება, რათა თანდათანობით შეიცვალონ საკოლმეურნეო ფოსტალიონები კავშირგაბმულობის საწარმოთა ფოსტალიონებით;

ბ) საჭირო ლიმიტის გამოყოფა 1965 წელს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროსათვის ფოსტის გადასაზიდად საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტით;

გ) მაქსიმალურად დაკმაყოფილება საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს მოთხოვნილებისა ავტოტრანსპორტზე, 1965 წლიდან დაწყებული.

7. დაევალოთ საქართველოს სსრ სახმშენს, მშენებლობის სამინისტროს, საპროექტო ინსტიტუტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, საქალაქო და რაიონულ აღმასკომებს სამ სართულზე მეტი სიმაღლის ახალი საცხოვრებელი შენობების დაპროექტებისა და მშენებლობის დროს გაითვალისწინონ სააბონენტო საფოსტო კარადების მოწყობა შესასვლელებში ბინების რაოდენობის მიხედვით.

8. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს:

მოაწყოს 1965 წლიდან სპეციალური საფოსტო ავეჯის გამოშვება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებში საფოსტო საწარმოების გასაწყობად საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს განაცხადით იმ ლიმიტების ფარგლებში, რომლებიც სამინისტროს გამოეყოფა დაგეგმილი წლისათვის;

დაავალოს სახალხო მეურნეობის საბჭოს სპეციალურ სამხატვრო საკონსტრუქტორო ბიუროს შექმნას, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროსთან სახელშეკრულებო საწყისებზე, ისეთი სპეციალური ავეჯის პროექტები, რომელიც თანამედროვე მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

9. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს მოაწყოს 1965 წლიდან მხატვრული ღია ბარათებისა და კონვერტების ფართო გამოშვება, ამასთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზრუნველყოს მათი ბეჭდვის ახალი, უფრო თანამედროვე ფორმების დანერგვა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 20 ივლისი, № 442.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 20 ივლისის № 442
დადგენილების დანართი

## ს ი ა

**რკინიგზის სადგურებისა, რომელთა ტერიტორიაზე უნდა აშენდეს კავშირგაბმულობის გადამცვლელი პუნქტები**

სამტრედია
ზესტაფონი
გაგრა — სატვირთო
გორი
ბათუმი
სოხუმი (მიშენება)
ხაშური
ცხაკაია
გალი
ინგირი
ქუთაისი — ფოსტის გადაზიდვის აეროპორტის განყოფილება
ოჩამჩირე
გუდაუთა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 83 იმ საწარმოებისა და დაწესებულებების სიის დამატების შესახებ, რომელთა სახლებიდან შეიძლება გამოსახლება სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ იმ საწარმოებისა და დაწესებულებების სიას, რომელთა სახლებიდან შეიძლება გამოსახლებულ იქნან სასამართლო წესით, სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 62 მუხლის შესაბამისად, საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად მუშები და მოსამსახურეები, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილით დათხოვნასთან დაკავშირებით ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ანდა ბოროტმოქმედების ჩადენისათვის, შემდეგი აბზაცი:

„56. სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტრო — ნავსადგურები (სანავსადგურო პუნქტები), რადიოცენტრები და სასწავლებლები“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 20 ივლისი, № 444.

## 84 ნებაყოფლობითი საზოგადოების — საქართველოს მონადირეთა კავშირის (მონკავშირის) წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 10 აგვისტოს № 536 დადგენილების შესაბამისად, ნებაყოფლობითი საზოგადოება საქართველოს მონადირეთა კავშირის წესდებაში ცვლილებების შეტანის მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. წესდების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მონკავშირი“ და მასში გაერთიანებული საზოგადოებანი ამოცანად ისახავენ ყოველმხრივ ხელი შეუწყონ სამონადირეო და სათევზაო მეურნეობის გონივრულად გაძღოლასა და სამონადირეო ფაუნის კვლავწარმოების მეცნიერულად დასაბუთებულ ღონისძიებათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

განხორციელებას, აგრეთვე ყოველმხრივ განავითაროონ სამონადირეო და სათევზაო სპორტი, როგორც ჯანმრთელი და ამტანი მოქალაქეების აღზრდის საშუალება, რომლებიც მზად იქნებიან შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის".

2. წესდების მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტს სიტყვა „მოშენების" შემდეგ დაემატოს სიტყვა „კვლავწარმოება". იმავე პუნქტის „ი" ქვეპუნქტში სიტყვა „გასანადგურებლად" შეიცვალოს სიტყვით „რაოდენობის რეგულირებისათვის", იმავე პუნქტის „ნ" ქვეპუნქტში ამოღებულ იქნას სიტყვები „ტირებს და ფოტოატელიებს", ხოლო დაემატოს „და საამკინძაო საამქროებს".

3. წესდების მე-14 პუნქტს დაემატოს მეორე აბზაცი შემდეგი შინაარსისა:

„საზოგადოებიდან გასული წევრი მოვალეა გაფრთხილებისთანავე დაუყოვნებლივ ჩააბაროს სანადირო თოფები „მონკავშირის" მაღაზიას საკომისიო წესით რეალიზაციისათვის, სანადირო თოფების ნებაყოფლობითი ჩაუბარებლობის შემთხვევაში თოფების ჩამორთმევა მოხდება მილიციის ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით: ჩამორთმეული თოფები რეალიზაციისათვის გადაეცემათ „მონკავშირის" მაღაზიებს და ამოღებული თანხა, საკომისიო გასამრჯელოს გამოკლებით, მიეცემა თოფის ყოფილ მფლობელს".

4. წესდების მე-17 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ქვეპუნქტი:

„ი) წარუდგინოს სანადირო ბილეთი იმ პირთ, რომელთაც დაკისრებული აქვთ სამონადირეო მეურნეობის გაძღოლისადმი კონტროლი და ზედამხედველობა. მონადირეთა მიერ სანადირო ბილეთების ურთიერთ მოთხოვნის შემთხვევაში ბილეთის წარდგენა სავალდებულოა ყველა მონადირისათვის".

5. 56-ე პუნქტის შემდეგ, წესდებას დაემატოს 57-ე და 58-ე პუნქტები შემდეგი შინაარსისა:

„57. მონადირეთა პირველადი კოლექტივი:

ა) აწარმოებს მოქალაქეთა მიღებას მონადირეთა საზოგადოების წევრად და ატარებს მათთან აღმზრდელობითს მუშაობას;

ბ) აწარმოებს ბრძოლას მონადირეთა შორის ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებისა და ბრაკონიერობის წინააღმდეგ;

გ) აქტიურად ზრუნავს სამონადირეო ფონდის კვლავწარმოებისა და დაცვისათვის;

დ) მონაწილეობს მტაცებელ ნადირ-ფრინველთა რაოდენობის რეგულირებაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) კონტროლს უწევს საწევრო ანარიცხების დროულად გადახდას;

ვ) აწყობს სამონადირეო საქმის შესწავლას, ზრუნავს მონადირეთა კულტურისა და სპორტული კვალიფიკაციის ამაღლებისათვის;

ზ) იზიდავს საზოგადოების წევრებს კოლექტივის საქმიანობაში და უზრუნველყოფს მათს შრომითს მონაწილეობას მიწერილ სამონადირეო მეურნეობის კვლავწარმოების, დაცვისა და ბიოტექნიკურ ღონისძიებათა ჩატარების, აგრეთვე მეურნეობის კეთილმოწყობის საქმეში;

თ) ხელმძღვანელობას უწევს თავისი სექციების მუშაობას.

58. პირველადი კოლექტივების ორგანიზაციული, სამეურნეო-საფინანსო განმტკიცების მიზნით და აგრეთვე მიწერილ მეურნეობაში დაცვითი და ბიოტექნიკურ ღონისძიებათა გატარებისათვის, პირველად კოლექტივებს შეუძლიათ მათი ზემდგომი საზოგადოების გამგეობის ნებართვით დახარჯონ საწევრო შემოსავალი 50 პროცენტამდე".

6. წესდებაში ორი ახალი პუნქტის ჩართვასთან დაკავშირებით წესდების 57-ე პუნქტიდან შესაბამისად შეიცვალოს პუნქტების ნომერაცია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
**თავმჯდომარის მოადგილე ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 20 ივლისი, № 446.

## 85 სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის დარგში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" საქმიანობის გაფართოების შესახებ

იმ მიზნით, რომ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების მომარაგება მინერალური სასუქებით და მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებებით, რომ უფრო ფართოდ დაინერგოს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში სოფლის მეურნეობის მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქიმიური საშუალებანი, აგრეთვე იმისათვის, რომ გადიდდეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და საერთო მოსავალი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 9 აპრილის № 317 დადგენილების განსახორციელებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. აღნიშნავს რა, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების მომარაგება მინერალური სასუქებით, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებებით და სხვა ქიმიური პროდუქტებითა და მასალებით, აგრეთვე ის, რომ დაკმაყოფილდეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოთხოვნილება მანქანებსა და მექანიზმებზე, რომლებიც საჭიროა სასუქების შესატანად და მცენარეთა დაცვის ქიმიურ საშუალებათა გამოსაყენებლად, — დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას":

ა) გამოავლინოს თავისი რაიონული გაერთიანებებისა და განყოფილებების მეშვეობით კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების მოთხოვნილება მინერალურ სასუქებსა, მცენარეთა დაცვის ქიმიურ საშუალებებსა და სხვა ქიმიურ პროდუქტებსა და მასალებზე, გულმოდგინედ შეისწავლოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებთან ერთად მეურნეობებისაგან შემოსული განაცხადები ამ პროდუქციაზე და შეადგინოს შეჯამებული განაცხადები საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიისათვის წარსადგენად;

ბ) კონტროლი გაუწიოს მინერალური სასუქებისა და მცენარეთა დაცვის ქიმიურ საშუალებათა ხარისხს და იმას, რომ ქიმიური მრეწველობის საწარმოებმა დროზე მიაწოდონ ისინი სოფლის მეურნეობას;

გ) მოაწყოს, რომ მიტანილ იქნას მინერალური სასუქები, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებანი და სხვა ქიმიური პროდუქტები და მასალები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში „საქსოფლტექნიკის" რაიონული გაერთიანებების, სოფლმეურნტრანსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საავტომობილო მეურნეობების, აგრეთვე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტრანსპორტით;

დ) საწარმოო-ტექნიკური დახმარება გაუწიოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს იმ მხრივ, რომ სწორად იქნას გამოყენებული მანქანები და მექანიზმები სასუქების შესატანად და მცენარეთა დაცვის ქიმიურ საშუალებათა გამოსაყენებლად;

ე) შეიმუშაოს და დანერგოს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მინერალური სასუქების, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებებისა და სხვა ქიმიური პროდუქტებისა და მასალების ტრანსპორტირებისა და შენახვის რაციონალური საშუალებანი, აგრეთვე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს აგროქიმიური სამსახურის ორგანიზაციებთან ერთად აძლიოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს რეკომენდაციები ამ პროდუქციის გამოყენების ტექნიკისა და მასთან მოპყრობის წესების შესახებ.

2. იმასთან დაკავშირებით, რომ გაფართოვდა რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" საქმიანობა სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის დარგში, დამტკიცდეს სრულიად საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკასთან" შეთანხმებული სტრუქტურა რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" ცენტრალური აპარატისა და მისი შტატები 148 საშტატო ერთეულის რაოდენობით, ხელფასის 16.058 მანეთის თვიური ფონდით № 1 დანართის თანახმად, ნაცვლად არსებული 126 ერთეულისა, რომლის ხელფასის ფონდი შეადგენდა 13763 მანეთს.

3. შეიქმნას „აფხაზსოფლტექნიკის", „აჭარსოფლტექნიკის" და სამხრეთ ოსეთის „სოფლტექნიკის" ცენტრალურ აპარატში სასუქების, შხამქიმიკატებისა და სხვა ქიმიური პროდუქტებისა და მასალების ვაჭრობის განყოფილებები.

ამ ორგანიზაციათა შტატები დამტკიცდეს 9 ერთეულის რაოდენობით, № 2 დანართის თანახმად, ხელფასის 925 მანეთის თვიური ფონდით, მათ შორის გადიდდეს „აფხაზსოფლტექნიკის", „აჭარსოფლტექნიკის" და „სოფლტექნიკის" სამხრეთ ოსეთის გაერთიანების ვაჭრობის და სასუქებისა და შხამქიმიკატების გამოყენების განყოფილებათა შტატები 5 ერთეულით, ხელფასის 425 მანეთის თვიური ფონდით.

4. შეიქმნას „საქსოფლტექნიკის" რაიონულ გაერთიანებათა შემადგენლობაში იმ სპეციალისტთა ჯგუფები მინერალური სასუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქების, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებებისა და სხვა ქიმიური პროდუქტებისა და მასალების ვაჭრობის დარგში, რომლებიც ტექნიკურ დახმარებას გაუწევენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მათი გამოყენების საქმეში, № 3 დანართის თანახმად.

5. რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" სისტემაში შტატების საერთო გადიდება 97 ერთეულით ხელფასის 9740 მანეთის ფონდით მოხდეს შემდეგი საწარმოებისა და ორგანიზაციების ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის მოქმედი საშტატო რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ხარჯზე: „საქსოფლტექნიკის" სისტემისა — 61 ერთეული ხელფასის 6.040 მანეთის თვიური ფონდით, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროსი — 20 საშტატო ერთეული ხელფასის 2.000 მანეთის თვიური ფონდით, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსი — 10 საშტატო ერთეული ხელფასის 1.100 მანეთი თვიური ფონდით.

6. სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ და სახალხო მეურნეობის საბჭომ ათი დღის ვადაში ჩაატარონ შტატებისა და ხელფასის ფონდის შემცირება ამ დადგენილების თანახმად, და აცნობონ ეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ფინანსთა სამინისტროს.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ და ფინანსთა სამინისტრომ შეიტანონ ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი შრომის გეგმასა და ბიუჯეტში ისე, რომ უცვლელი დარჩეს მთლიანად რესპუბლიკის ბიუჯეტთან ურთიერთობა.

მიღებულ იქნას ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1964 წლის 9 აპრილის № 317 დადგენილებით:

ა) დააწესა, რომ მინერალური სასუქების, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების და სხვა ქიმიური პროდუქტებისა და მასალების შესანახი რკინიგზისპირა მექანიზებული ბაზებისა და საწყობების მშენებლობა უნდა განახორციელონ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ანგარიშში;

ბ) დაავალა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახმშენს და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს გაითვალისწინონ გეგმებით, 1965 წლიდან დაწყებული, რომ გამოეყოთ მოკავშირე რესპუბლიკებს მიზნობრივი დანიშნულებით აღნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შნული ბაზებისა და საწყობების მშენებლობისათვის კაპიტალური დაბანდებანი, აგრეთვე საშენი მასალები, დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაციის საშუალებანი და სხვა მოწყობილობა;

გ) მინერალური სასუქების, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების და სხვა ქიმიური პროდუქტებისა და მასალების შესანახი რკინიგზისპირა მექანიზებული ბაზებისა და საწყობების, აგრეთვე მათთან მისასვლელი გზების მშენებლობის საიჯარო სამუშაოთა შესრულება დააკისრა ძირითადად სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტს;

დ) დააწესა, რომ მინერალური სასუქების, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებებისა და სხვა ქიმიური პროდუქტებისა და მასალების შესანახი რკინიგზისპირა მექანიზებული ბაზები და საწყობები მათი მშენებლობის დამთავრების შემდეგ უნდა გადაეცეს „სოფლტექნიკის“ სისტემის ადგილობრივი ორგანიზაციების გამგებლობაში;

ე) დაავალა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს, სსრ კავშირის სახმშენს, საკავშირო გაერთიანება „სოფლტექნიკას“, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ქიმიური მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად, ორი თვის ვადაში შეიმუშაონ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარუდგინონ წინადადებანი იმის შესახებ, რომ მოეწყოს შერეული მინერალური სასუქების სამრეწველო წარმოება სახალხო მეურნეობის საბჭოების საწარმოებში.

აღნიშნული წინადადებებით გათვალისწინებულ უნდა იქნას დასამზადებელი სამრეწველო სასუქნარევების მოცულობა და ასორტიმენტი, სასუქნარევის საწარმოების განლაგება ძირითად სასოფლო-სამეურნეო ზონებში, დავალებანი სპეციალური სასუქნარევის ქარხნების დაპროექტებისა და მშენებლობისა სახალხო მეურნეობის საბჭოების სისტემაში და სასუქნარევის საამქროებისა — მინერალური სასუქების დამამზადებელ მოქმედ საწარმოებში, აგრეთვე დავალებანი იმისა, რომ დამზადდეს ჩვენი ქვეყნის საწარმოებში და შესყიდულ იქნას საზღვარგარეთ მოწყობილობა სასუქნარევი საწარმოებისათვის;

ვ) წინადადება მისცა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახმშენს და სსრ კავშირის სახალხო მეურნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობის საბჭოს გაითვალისწინონ სახალხო-სამეურნეო გეგმებით, რომ გამოეყოთ სახალხო მეურნეობის საბჭოებს კაპიტალური დაბანდებანი, მოწყობილობა და მასალები მიზნობრივი დანიშნულებით სასუქნარევი საწარმოების მშენებლობისათვის, აგრეთვე დავალებანი სასუქნარევების წარმოებისა და მათი მიწოდებისა საკავშირო გაერთიანება „სოფლტექნიკისათვის".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 27 ივლისი, № 457.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 27 ივლისის № 457
დადგენილების დანართი № 1

# საშტატო განრიგი

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკისა“ 1964 წლისათვის

| სტრუქტურულ ქვეგანაყოფთა და თანამდებობათა დასახელება | საშტატო ერთეულთა რაოდენობა | თანამდებობრივი განაკვეთი | ხელფასის თვიური ფონდი სულ |
|---|---|---|---|
| **ხელმძღვანელობა** | | | |
| გაერთიანების თავმჯდომარე . . . . | 1 | 430 | 430 |
| თავმჯდომარის მდივანი . . . . . | 1 | 60 | 60 |
| თავმჯდომარის პირველი მოადგილე . | 1 | 310 | 310 |
| თავმჯდომარის მოადგილე . . . . . | 2 | 300 | 600 |
| სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს სწავლული მდივანი . . . . . | 1 | 125 | 125 |
| იურისკონსულტი . . . . . | 1 | 90 | 90 |
| უფროსი ინსპექტორი . . . . . | 1 | 80 | 80 |
| მდივანი-სტენოგრაფისტი . . . . . | 1 | 55 | 55 |
| მდივანი-მემანქანე . . . . . | 1 | 55 | 55 |
| სულ: . . . . . | 10 | — | 1805 |
| **სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და საწარმოო დანიშნულების საქონლის ვაჭრობის სამმართველო** | | | |
| სამმართველოს უფროსი . . . . . | 1 | 180 | 180 |
| უფროსის მოადგილე . . . . . | 1 | 162 | 162 |
| მდივანი-მემანქანე . . . . . | 1 | 55 | 55 |
| სულ: . . . . . | 3 | — | 397 |
| **ტრაქტორების, ავტომობილების, სასოფლო-სამეურნეო და სამშენებლო-საგზაო მანქანების მოწყობილობისა და ელექტრომასალების განყოფილება** | | | |
| განყოფილების უფროსი . . . . . | 1 | 150 | 150 |
| უფროსი ინჟინერი . . . . . | 1 | 120 | 120 |
| უფროსი ინჟინერი . . . . . | 1 | 100 | 100 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| სტრუქტურულ ქვეგანყოფთა და თანამდებობათა დასახელება | საშტატო ერთეულ. რაოდენ. | თანამდებობრივი განაკვეთი | ხელფასის თვიური ფონდი სულ |
|---|---|---|---|
| საქონელმცოდნე | 2 | 80 | 160 |
| ინჟინერი მოწყობილობისა და ელექტრომასალების დარგში | 1 | 100 | 100 |
| უფროსი საქონელმცოდნე ინსტრუმენტებისა და სხვა საქონლის დარგში | 1 | 85 | 85 |
| უფროსი ეკონომისტი-მგეგმავი | 1 | 110 | 110 |
| სულ: | 8 | — | 825 |
| **ტრაქტორების, ავტომობილების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ძრავების სათადარიგო ნაწილების განყოფილება** | | | |
| განყოფილების უფროსი | 1 | 145 | 145 |
| მთავარი ინჟინერი — განყოფილების უფროსის მოადგილე | 1 | 140 | 140 |
| უფროსი ინჟინერ-მექანიზატორი | 1 | 120 | 120 |
| უფროსი ინჟინერ-მექანიზატორი | 1 | 110 | 110 |
| ინჟინერ-მექანიზატორი | 1 | 95 | 95 |
| ინჟინერ-მექანიზატორი | 1 | 90 | 90 |
| უფროსი საქონელმცოდნე | 1 | 85 | 85 |
| საქონელმცოდნე | 1 | 80 | 80 |
| საქონელმცოდნე | 1 | 75 | 75 |
| სულ: | 9 | — | 940 |
| **საშენი მასალების, ლითონებისა და საწარმოო დანიშნულების სხვა საქონლის განყოფილება** | | | |
| განყოფილების უფროსი | 1 | 145 | 145 |
| უფროსი ინჟინერი საშენი მასალების დარგში | 1 | 110 | 110 |
| ინჟინერი-მეტყევე | 1 | 100 | 100 |
| ინჟინერი ლითონის დარგში | 1 | 90 | 90 |
| უფროსი საქონელმცოდნე ხე-ტყის მასალის დარგში | 1 | 85 | 85 |
| უფროსი საქონელმცოდნე საშენ მასალათა დარგში | 1 | 85 | 85 |
| უფროსი საქონელმცოდნე ცემენტის დარგში | 1 | 85 | 85 |
| სულ: | 7 | — | 700 |
| სულ საგმართველოში: | 27 | — | 2862 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| სტრუქტურულ ქვეგანაყოფთა და თანამდებობათა დასახელება | საშტატო ერთეულთა რაოდენობა | თანამდებობრივი განაკვეთი | ხელფასის თვიური ფონდი სულ |
|---|---|---|---|
| **სასუქების, შხამქიმიკატებისა და სხვა ქიმიური პროდუქტებისა და მასალების ვაჭრობის სამმართველო** | | | |
| სამმართველოს უფროსი . . . . . | 1 | 165 | 165 |
| უფროსი ეკონომისტ-მგეგმავი . . . | 1 | 105 | 105 |
| სულ: . . . . . | 2 | — | 270 |
| **სასუქებისა და სხვა ქიმიური პროდუქტების განყოფილება** | | | |
| განყოფილების უფროსი . . . . . | 1 | 150 | 150 |
| მთავარი სპეციალისტი მინერალური სასუქების დარგში . . . . . | 1 | 125 | 125 |
| უფროსი აგრონომი მინერალური სასუქების დარგში . . . . . | 1 | 105 | 105 |
| აგრონომი მინერალური სასუქების დარგში . . . . . | 1 | 100 | 100 |
| აგრონომი პოლიმერების, მიკრ. საკვებისა და სხვა ქიმიური პროდუქტების დარგში . . . . . | 1 | 80 | 80 |
| აგრონომ-ინსპექტორი ბარისხის დარგში | 1 | 90 | 90 |
| უფროსი ინჟინერი მანქანებისა და მექანიზაციის გამოყენების დარგში . . . | 1 | 105 | 105 |
| სულ: . . . . . | 7 | — | 755 |
| **მცენარეთა დაცვის ქიმიურ საშუალებათა განყოფილება** | | | |
| განყოფილების უფროსი — სამმართველოს უფროსის მოადგილე . . . . | 1 | 145 | 145 |
| უფროსი აგრონომი მცენარეთა დაცვის დარგში . . . . . | 1 | 105 | 105 |
| უფროსი აგრონომ-ენტომოლოგი . . | 1 | 105 | 105 |
| ინჟინერი მანქანებისა და მექანიზმების გამოყენების დარგში . . . . . | 1 | 90 | 90 |
| აგრონომ-ინსპექტორი ხარისხის დარგში | 1 | 90 | 90 |
| სულ: . . . . . | 5 | — | 535 |
| სულ სამმართველოს ხაზით: . . | 14 | — | 1560 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| სტრუქტურულ ქვეგანაყოფთა და თანამდებობათა დასახელება | საშტატო ერთეულ. რაოდენ. | თანამდებობ-რივი განაკვეთი | ხელფასის თვიური ფონდი სულ |
|---|---|---|---|
| **ვაჭრობის ორგანიზაციის, სასაწყობო მეურნეობისა და მატერიალური ბალანსების განყოფილება** | | | |
| განყოფილების უფროსი . . . . . | 1 | 150 | 150 |
| უფროსი ეკონომისტი . . . . . | 1 | 105 | 105 |
| ეკონომისტი . . . . . | 2 | 90 | 180 |
| უფროსი ინჟინერი . . . . . | 1 | 105 | 105 |
| ინჟინერი . . . . . | 2 | 90 | 180 |
| სულ: . . . . . | 7 | — | 720 |
| **მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და საწარმოო-ტექნიკური მომსახურების სამმართველო** | | | |
| სამმართველოს უფროსი . . . . . | 1 | 180 | 180 |
| მთავარი ინჟინერი — სამმართველოს უფროსის მოადგილე . . . . . | 1 | 150 | 150 |
| სულ: . . . . . | 2 | — | 330 |
| **რემონტისა და სარემონტო საწარმოების განყოფილება** | | | |
| განყოფილების უფროსი — მთავარი ინჟინერი . . . . . | 1 | 145 | 145 |
| უფროსი ინჟინერ-მექანიზატორი . . | 2 | 105 | 210 |
| ინჟინერ-მექანიზატორი . . . . . | 2 | 90 | 180 |
| სულ: . . . . . | 5 | — | 535 |
| **სატრაქტორო პარკის ექსპლუატაციის განყოფილება** | | | |
| განყოფილების უფროსი — მთავარი ინჟინერი . . . . . | 1 | 145 | 145 |
| მთავარი აგრონომი . . . . . | 1 | 125 | 125 |
| უფროსი ინჟინერი ტრაქტორების დარგში . . . . . | 2 | 105 | 210 |
| ინჟინერი სასოფლო-სამეურნეო მანქანების დარგში . . . . . | 1 | 90 | 90 |
| ინჟინერი უსაფრთხოების ტექნიკის დარგში . . . . . | 1 | 90 | 90 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| სტრუქტურულ ქვეგანაყოფთა და თანამდებობათა დასახელება | სშტატო ერთეულ. რაოდენ. | თანამდებობ-რივი განაკვეთი | ხელფასის თვიური ფონდი სულ |
|---|---|---|---|
| ინჟინერი ნორმირების დარგში . . . | 1 | 90 | 90 |
| სულ: . . . . . | 7 | — | 750 |
| მთლად სამმართველოში . . . | 14 | — | 1615 |
| **კაპიტალური მშენებლობის სამმართველო** | | | |
| სამმართველოს უფროსი . . . . . | 1 | 165 | 165 |
| უფროსი ინჟინერი . . . . . | 1 | 110 | 110 |
| უფროსი ინჟინერი . . . . . | 1 | 100 | 100 |
| ინჟინერი . . . . . | 1 | 90 | 90 |
| სულ: . . . . . | 4 | — | 465 |
| **მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ელექტროენერგიის დანერგვის სამმართველო** | | | |
| სამმართველოს უფროსი . . . . . | 1 | 165 | 165 |
| მთავარი ინჟინერი — სამმართველოს უფროსის მოადგილე . . . . . | 1 | 150 | 150 |
| უფროსი ინჟინერ-მექანიზატორი . . | 1 | 105 | 105 |
| უფროსი ინჟინერ-ელექტრიკოსი . . | 1 | 105 | 105 |
| ინჟინერ-მექანიზატორი . . . . . | 2 | 90 | 180 |
| ინჟინერ-ელექტრიკოსი . . . . . | 1 | 90 | 90 |
| სულ: . . . . . | 7 | — | 795 |
| **ახალი ტექნიკის დანერგვისა და გამოყენების სამმართველო** | | | |
| სამმართველოს უფროსი . . . . . | 1 | 165 | 165 |
| მთავარი ინჟინერი — სამმართველოს უფროსის მოადგილე . . . . . | 1 | 150 | 150 |
| მთავარი სპეციალისტი ახალი ტექნიკის გამოყენების დარგში . . . . . | 1 | 125 | 125 |
| მთავარი აგრონომი . . . . . | 1 | 125 | 125 |
| უფროსი ინჟინერი . . . . . | 2 | 105 | 210 |
| ინჟინერი . . . . . | 3 | 90 | 270 |
| ინჟინერი ინფორმაციის დარგში . . . | 1 | 90 | 90 |
| სულ: . . . . . | 10 | — | 1135 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| სტრუქტურულ ქვეგანაყოფთა და თანამდებობათა დასახელება | საშტატო ერთეულ. რაოდენ. | თანამდებობრივი განაკვეთი | ხელფასის თვიური ფონდი სულ |
|---|---|---|---|
| **ტექნიკური ინფორმაციისა და რეკლამების ბიურო (განყოფილების უფლებებით)** | | | |
| განყოფილების უფროსი . . . . . | 1 | 145 | 145 |
| უფროსი ინჟინერი . . . . . | 1 | 105 | 105 |
| ინჟინერი . . . . . | 1 | 90 | 90 |
| სულ: . . . . . | 3 | — | 340 |
| სულ სამმართველოში . . . . | 13 | — | 1475 |
| **საკონტროლო-სარევიზიო განყოფილება** | | | |
| განყოფილების უფროსი . . . . . | 1 | 150 | 150 |
| მთავარი რევიზორი . . . . . | 1 | 120 | 120 |
| უფროსი ბუღალტერ-რევიზორი . . . | 1 | 90 | 90 |
| უფროსი ბუღალტერ-რევიზორი . . . | 1 | 85 | 85 |
| ბუღალტერ-რევიზორი . . . . . | 1 | 80 | 80 |
| სულ: . . . . . | 5 | — | 525 |
| **სათბობისა და ნავთობპროდუქტების განყოფილება** | | | |
| განყოფილების უფროსი . . . . . | 1 | 150 | 150 |
| უფროსი ინჟინერი . . . . . | 1 | 105 | 105 |
| ინჟინერი . . . . . | 1 | 90 | 90 |
| უფროსი მგეგმავი ეკონომისტი . . . | 1 | 115 | 115 |
| სულ: . . . . . | 4 | ... | 460 |
| **საგეგმო-საფინანსო სამმართველო** | | | |
| სამმართველოს უფროსი . . . . . | 1 | 170 | 170 |
| მდივანი-მემანქანე . . . . . | 1 | 55 | 55 |
| სულ: . . . . . | 2 | — | 225 |
| **საფინანსო განყოფილება** | | | |
| განყოფილების უფროსი — სამმართველოს უფროსის მოადგილე . . . . | 1 | 150 | 150 |
| უფროსი ეკონომისტ-ფინანსისტი . . | 1 | 120 | 120 |
| უფროსი ეკონომისტ-ფინანსისტი . . | 1 | 110 | 110 |
| ეკონომისტი . . . . . | 1 | 90 | 90 |
| **სულ:** . . . . . | 4 | — | 470 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| სტრუქტურულ ქვეგანაყოფთა და თანამდებობათა დასახელება | საშტატო ერთეულ. რაოდენ. | თანამდებობ-რივი განაკვეთი | ხელფასის თვიური ფონდი სულ |
|---|---|---|---|
| **საგეგმო-ეკონომიური განყოფილება** | | | |
| განყოფილების უფროსი — სამმართველოს უფროსის მოადგილე . . . . | 1 | 150 | 150 |
| უფროსი აგრონომ-ეკონომისტი . . . | 1 | 115 | 115 |
| უფროსი ეკონომისტი . . . . . | 1 | 105 | 105 |
| უფროსი ეკონომისტი შრომის დარგში | 1 | 120 | 120 |
| მგეგმავი ეკონომისტი . . . . . | 1 | 100 | 100 |
| სულ: . . . . . | 5 | — | 590 |
| **სატრანსპორტო ჯგუფი** | | | |
| ჯგუფის უფროსი — უფროსი ინჟინერი | 1 | 120 | 120 |
| უფროსი მგეგმავი ეკონომისტი . . . | 1 | 100 | 100 |
| ეკონომისტი . . . . . | 1 | 80 | 80 |
| სულ: . . . . . | 3 | — | 300 |
| სულ სამმართველოში . . . . | 14 | — | 1585 |
| **კადრების განყოფილება** | | | |
| განყოფილების უფროსი . . . . . | 1 | 150 | 150 |
| ინჟინერ-მექანიზატორი . . . . . | 1 | 100 | 100 |
| უფროსი ინსპექტორი კადრების დარგში | 1 | 80 | 80 |
| სულ: . . . . . | 3 | — | 330 |
| **წარმოებისა და მშენებლობის მასალების ხარჯვის დანორმვის განყოფილება** | | | |
| განყოფილების უფროსი . . . . . | 1 | 150 | 150 |
| მშენებელი ინჟინერი . . . . . | 1 | 90 | 90 |
| ინჟინერ-მექანიზატორი . . . . . | 1 | 90 | 90 |
| სულ: . . . . . | 3 | — | 330 |
| **ცენტრალური ბუღალტერია** | | | |
| ცენტრალური ბუღალტერიის უფროსი — მთავარი ბუღალტერი . . . . . | 1 | 160 | 160 |
| მთავარი ბუღალტრის მოადგილე . . | 1 | 131 | 131 |
| უფროსი ბუღალტერი . . . . . | 2 | 80 | 160 |
| უფროსი ბუღალტერი . . . . . | 1 | 75 | 75 |
| ბუღალტერი . . . . . | 2 | 75 | 150 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| სტრუქტურულ ქვეგანაყოფთა და თანამდებობათა დასახელება | საშტატო ერთეულთა რაოდ. | თანამდებობრივი განაკვეთი | ხელფასის თვიური ფონდი სულ |
|---|---|---|---|
| ბუღალტერი | 1 | 70 | 70 |
| მოლარე-ინკასატორი | 1 | 60 | 60 |
| სულ ცენტრალურ ბუღალტერიაში | 9 | — | 806 |
| **ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება** | | | |
| განყოფილების უფროსი | 1 | 75 | 75 |
| საქმისმწარმოებელი | 1 | 60 | 60 |
| საქმისმწარმოებელი | 1 | 55 | 55 |
| უფროსი მემანქანე | 1 | 60 | 60 |
| მემანქანე | 3 | 55 | 165 |
| სტენოგრაფისტი | 1 | 50 | 50 |
| სამეურნეო ნაწილის გამგე | 1 | 60 | 60 |
| შიკრიკი | 1 | 40 | 40 |
| დამლაგებელი | 2 | 40 | 80 |
| დაცვა | 2 | 40 | 80 |
| სულ ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილებაში | 14 | — | 725 |
| მთლად გაერთიანებაში | 148 | — | 16058 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ბერაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 27 ივლისის № 457
დადგენილების დანართი № 2

# შტატები

## სასუქების, შხამქიმიკატების და სხვა ქიმიური პროდუქტების და მასალების ვაჭრობის განყოფილებებისა „აფხაზსოფლტექნიკის", „აჭარსოფლტექნიკის" და სამხრეთ ოსეთის „სოფლტექნიკის" ცენტრალური აპარატისათვის

| ასსრ დასახელება | საშტატო ერთეულების რაოდენობა |
|---|---|
| **აფხაზეთის ასსრ** | |
| განყოფილების უფროსი — თავმჯდომარის მოადგილე ვაჭრობის დარგში | 1 |
| უფროსი აგრონომი სასუქებისა და ქიმიკატების დარგში | 1 |
| აგრონომი მცენარეთა დაცვის დარგში | 1 |
| ინჟინერ-მექანიკოსი სასუქებისა და შხამქიმიკატების გამოსაყენებელი მანქანების დარგში | 1 |
| სულ | 4 |
| **აჭარის ასსრ** | |
| განყოფილების უფროსი — თავმჯდომარის მოადგილე დაგეგმვისა და ვაჭრობის დარგში | 1 |
| უფროსი აგრონომი სასუქებისა და ქიმიკატების დარგში | 1 |
| აგრონომი მცენარეთა დაცვის დარგში | 1 |
| ინჟინერ-მექანიკოსი სასუქების და შხამქიმიკატების გამოსაყენებელი მანქანების დარგში | 1 |
| სულ | 4 |
| **სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი** | |
| უფროსი აგრონომ-ენტომოლოგი | 1 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ბერაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 27 ივლისის № 457
დადგენილების დანართი № 3

## სასუქების, შხამქიმიკატების და სხვა ქიმიური პროდუქტებისა და მასალების ვაჭრობის ჯგუფები „საქსოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანებებისა და განყოფილებებისათვის

| გაერთიანებების დასახელება | აგრონომები | | | | უფროსი ინსპექტორი შხამქიმიკატების გამოსაყენებლად მანქანების დარგში | ჯ/ერ |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სასუქების უფროსი აგრონომი | სასუქების აგრონომი | მცენარეთა დაცვის უფროსი აგრონომი | მცენარეთა დაცვის აგრონომი | | |
| ქობულეთის | 1 | — | 1 | — | 1 | 3 |
| ლენინგორის | — | 1 | — | — | — | 1 |
| გურჯაანის | 1 | — | 1 | — | — | 2 |
| ყვარლის | 1 | — | 1 | — | — | 2 |
| თელავის | 1 | — | 1 | — | — | 2 |
| გარდაბნის | 1 | — | — | — | — | 1 |
| ახალქალაქის | 1 | — | — | — | — | 1 |
| თეთრიწყაროს | 1 | — | — | — | — | 1 |
| ბოლნისის | 1 | — | 1 | — | 1 | 3 |
| ახალციხის | 1 | — | 1 | — | — | 2 |
| სიღნაღის | 1 | — | 1 | — | 1 | 3 |
| გორის | 1 | — | 1 | — | 1 | 3 |
| ხაშურის | 1 | — | 1 | — | — | 2 |
| დუშეთის | 1 | — | — | — | — | 1 |
| მეგეჭკორის | — | 1 | — | 1 | — | 2 |
| ზესტაფონის | 1 | — | 1 | — | — | 2 |
| საჩხერის | 1 | — | — | — | — | 1 |
| წყალტუბოს | 1 | — | 1 | — | — | 2 |
| სამტრედიის | 1 | — | 1 | — | — | 2 |
| მაიაკოვსკის | — | 1 | — | — | — | 1 |
| მახარაძის | 1 | — | 1 | — | 1 | 3 |
| ცხაკაიას | 1 | — | 1 | — | 1 | 3 |
| ამბროლაურის | — | 1 | — | — | — | 1 |
| ზუგდიდის | 1 | — | 1 | — | 1 | 3 |
| ლანჩხუთის | 1 | — | 1 | — | — | 2 |
| წითელწყაროს | 1 | — | — | — | — | 1 |
| ახმეტის | — | 1 | — | — | — | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| გაერთიანებების დასახელება | აგრონომები | | | | უფროსი ინსპექტორი შხამქიმიკატების გამოსაყენებლად მანქანების დარგში | ს ულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სასოფლების უფროსი აგრონომი | სასოფლების აგრონომი | მცენარეთა დაცვის უფროსი აგრონომი | მცენარეთა დაცვის აგრონომი | | |
| ლაგოდეხის . . . . . | 1 | — | — | — | — | 1 |
| საგარეჯოს . . . . . | 1 | — | 1 | — | — | 2 |
| მცხეთის . . . . . | 1 | — | — | — | — | 1 |
| გალის . . . . . | 1 | — | 1 | — | 1 | 3 |
| ოჩამჩირის . . . . . | 1 | — | 1 | — | 1 | 3 |
| გუდაუთის . . . . . | 1 | — | 1 | — | 1 | 3 |
| გულრიფშის . . . . . | 1 | — | 1 | — | 1 | 3 |
| ზნაურის . . . . . | — | 1 | — | — | — | 1 |
| კასპის განყოფილება . . | — | 1 | — | — | — | 1 |
| ვანის „ . . . | — | 1 | — | — | — | 1 |
| ს ულ . . | 29 | 8 | 21 | 1 | 11 | 70 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. მირაქაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 86 საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ელექტროფიცირებული რკინიგზების საკონტაქტო ქსელის სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომებიდან ადმინისტრაციული წესით გამოსახლების შესახებ

ელექტროფიცირებული რკინიგზების ენერგომომარაგების მოწყობილობათა მომსახურების გაუმჯობესებისა და საკონტაქტო ქსელის ქვესადგურებისა და დისტანციების ოპერატიული პერსონალის საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დაწესდეს, რომ საკონტაქტო ქსელის წევის ქვესადგურებისა და დისტანციების თანამდებობის პირების მიერ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში, რომლებსაც ეძლევათ სამსახურებრივი საცხოვრებელი ფართობი ელექტროფიცირებული უბნების მოსამსახურე პერსონალისათვის აშენებულ სახლებში, ისინი გამოსახლებულ უნდა იქნან მასთან მცხოვრებ ყველა პირთან ერთად, სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, იმ დროიდან ერთი თვის ვადის გასვლის შემდეგ, რაც მათ მიეცემათ გაფრთხილება სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომის განთავისუფლების შესახებ, გამოსახლება წარმოებს ადმინისტრაციული წესით, პროკურორის სანქციით.

ომის ინვალიდები, პირველი და მეორე ჯგუფის შრომის ინვალიდები, მოხუცებულობის პენსიონერები, პერსონალური პენსიონერები, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამსახურში მყოფ პირთა ოჯახები, აგრეთვე იმ სამხედრო მოსამსახურეთა და პარტიზანთა ოჯახები, რომლებიც დაიღუპნენ ან უგზოუკვლოდ დაიკარგნენ სსრ კავშირის დაცვის ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულების დროს, აგრეთვე იმ გარდაცვლილი მუშაკის ოჯახის წევრები, რომელსაც მიცემული ჰქონდა სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომი, შეიძლება გასახლებულ იქნას მხოლოდ სასამართლო წესით ისე, რომ მათ მიეცეთ სხვა კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სადგომი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაძაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 30 ივლისი, № 462.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 87 საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1933 წლის 25 აპრილის დადგენილების გაუქმების შესახებ

„სსრკ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“ სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 5 მაისის ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1933 წლის 25 აპრილის დადგენილება „სსრ კავშირის კომუნალური და საბინაო მშენებლობის დაფინანსების ბანკის სპეციალურ კაპიტალებში კომუნალურ საწარმოთა შემოსავლიდან და სავაჭრო-სამრეწველო, სასაწყობო და საკონტორო სადგომების საიჯარო ქირიდან მიზნობრივი ანარიცხების გადადების შესახებ“ (კან. კრებ., 1933 წ., № 12, მუხ. 159).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 30 ივლისი, № 463.

## 88 საქართველოს სსრ ქალაქებსა და დაბებში მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის მოწესრიგების შესახებ

აღინიშნოს, რომ ადგილებზე მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების ამორჩევის დროს ყოველთვის როდი ითვალისწინებენ სამშენებლო მოედნების ტექნიკურ-ეკონომიურ დახასიათებას, ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დაბების გენერალური გეგმების პერსპექტიულ მოთხოვნებს, მშენებლობის რაიონების სანიტარულ-ტექნიკურ პირობებსა და მათს არქიტექტურულ-საგეგმო თავისებურებებს, რის შედეგადაც, მშენებლობის გაძვირებასთან ერთად, ხშირად ირღვევა განაშენიანების სანიტარული და ხანძარსაწინააღმდეგო პირობები, უარესდება აღნიშნული დასახლებული ადგილების არქიტექტურული და გარეგნული სახე.

მიწის ნაკვეთების გამოყოფის მოწესრიგების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დადგენილ იქნას წესი, რომლის დროსაც წინადადებანი მიწის ნაკვეთების გამოყოფის შესახებ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის და-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ბებში, აგრეთვე შავი ზღვის სანაპიროს 1,5-კილომეტრიან ზონაში მშენებლობისათვის, შეთანხმებულ უნდა იქნას საქართველოს სსრ სახმშენთან ქალაქთა მთავარი არქიტექტორების, ხოლო იქ, სადაც ისინი არ არიან, — მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების კომუნალური მეურნეობის ორგანოების წარდგენით, იმ ანგარიშით, რომ მიწის ნაკვეთების გამოყოფა შემდგომ გააფორმონ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა.

იმ სამშენებლო ობიექტების ნუსხას, რომელთათვისაც მიწის ნაკვეთების გამოყოფა მშენებლობისათვის შეთანხმებულ უნდა იქნას საქართველოს სსრ სახმშენთან, დააწესებს საქართველოს სსრ სახმშენი.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახმშენს:

ა) აძლიოს დასკვნა მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის საკითხზე იმ დროიდან არა უგვიანეს 20 დღისა, რაც აღმასკომები წარადგენენ ნაკვეთების ამორჩევისათვის საჭირო ყველა მასალას;

ბ) ერთი თვის ვადაში დადამტკიცოს და გადაუგზავნოს ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციას:

იმ სამშენებლო ობიექტების ნუსხა, რომელთათვისაც მიწის ნაკვეთების გამოყოფა მშენებლობისათვის შეთანხმებულ უნდა იქნას საქართველოს სსრ სახმშენთან;

ინსტრუქცია იმ წესის შესახებ, რომლის მიხედვითაც საქართველოს სსრ სახმშენს წარედგინება მასალები მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების ამორჩევის შესახებ.

3. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს აწარმოონ 1964 წლის 1 ოქტომბრიდან მიწის ნაკვეთების გამოყოფა მშენებლობისათვის მას შემდეგ, რაც ნაკვეთების ამორჩევა წინასწარ იქნება შეთანხმებული საქართველოს სსრ სახმშენთან, ამ დადგენილების შესაბამისად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაჭაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 31 ივლისი, № 474.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**89** **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 9 აპრილის № 286 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ**

„სოფელ ადგილებში მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეთა საკარმიდამო მიწის ნაკვეთების შესახებ სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა გაუქმების თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 9 აპრილის № 286 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 7 აგვისტო, № 421.

დამტიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 7 აგვისტოს № 491
დადგენილებით

## ნუსხა

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა, რომლებიც ძალადაკარგულად ითვლება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 9 აპრილის № 286 დადგენილებასთან დაკავშირებით**

1. პუნქტი 1 საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1945 წლის 5 ნოემბრის № 487 დადგენილებისა „სოფლის მეურნეობაში მომუშავე და სოფლად მცხოვრები აგრონომების, ზოოტექნიკოსების, ვეტერინარული ექიმებისა და მიწათმომწყობთა საყოფაცხოვრებო მოწყობის ღონისძიებათა შესახებ“.

2. პუნქტი 1 საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1946 წლის 10 იანვრის № 16 დადგენილებისა „საქართველოს სსრ მიწსახკომის, ტექნიკური კულტურების სახალხო კომისარიატისა და წყალთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობის სახალხო კომისიარიატის სისტემაში მომუშავე ფლად მცხოვრებ წყალთა მეურნეობის ინჟინერთა და ტექნიკოსთა საყოფაცხოვრებო მოწყობის ღონისძიებათა შესახებ".

3. „სამრეწველო სამინისტროთა სოფლის მეურნეობის განვითარების 1946 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 29 მარტის № 705 დადგენილების განხორციელების ღონისძიებებზე" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 13 აპრილის № 61 დადგენილების მე-17 პუნქტის ქვეპუნქტი „ბ".

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 20 ივნისის № 367 დადგენილება „საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სამინისტროს და ტექნიკური კულტურების სამინისტროს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მექანიკოსებზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 15 ნოემბრის № 1487 დადგენილების გავრცელების შესახებ", იმ ნაწილში, რომელიც შეეხება საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1945 წლის 15 ნოემბრის № 1487 დადგენილების 1 პუნქტის გავრცელებას.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 30 ივლისის № 595 დადგენილება „საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სამინისტროს აგრო და სატყეო მელიორატორებზე (ინჟინრებსა და ტექნიკოსებზე) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 15 ნოემბრის № 1487 დადგენილების გავრცელების შესახებ", იმ ნაწილში, რომელიც შეეხება საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1945 წლის 15 ნოემბრის № 1487 დადგენილების 1 პუნქტით გათვალისწინებული საკარმიდამო ნაკვეთის ოდენობას.

6. „ხორცის, ძეხვის ნაწარმის, ერბო-კარაქისა და ყველის წარმოების გადიდების ზომების შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 28 ივლისის № 2694 დადგენილების განხორციელების ღონისძიებებზე" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 16 სექტემბრის № 1006 დადგენილების მე-8 პუნქტის ქვეპუნქტი „ა".

7. „დაწყებითი და რვაწლიანი სკოლების მასწავლებელთათვის შეღავათებისა და უპირატესობათა შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 3 მარტის № 156 დადგენილების მე-3 მუხლის ქვეპუნქტი „ბ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 6 ივლისის № 721 დადგენილება „რძის, ხორცისა და კარტოფილის სავალდებულო ჩაბარების ხაზით სოფლის მასწავლებლებისათვის დაწესებული შეღავათების გამოყენებისა და სოფლის მასწავლებლებისათვის საკარმიდამო მიწის ნაკვეთების მიზომვის წესის შესახებ“.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 2 აგვისტოს № 931 დადგენილება „სოფელ ადგილებში საშუალო სკოლების მასწავლებლებისა, დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეებისათვის შეღავათებისა და უპირატესობათა შესახებ“, იმ ნაწილში, რომლითაც სოფელ ადგილების საშუალო სკოლების მასწავლებლებზე, დირექტორებსა და სასწავლო ნაწილის გამგეებზე ვრცელდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 3 მარტის № 156 დადგენილების მე-3 პუნქტის ქვეპუნქტი „ბ“.

10. პუნქტი 5 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 27 დეკემბრის № 1782 დადგენილება „სოფლის მეურნეობის რაიონულ განყოფილებათა ინსტრუქტორ-ბუღალტრების მუშაობის გაუმჯობესების ზომების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების განხორციელების ღონისძიებებზე“, საკარმიდამო ნაკვეთის ოდენობის ნაწილში.

11. პუნქტი 3 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 23 აპრილის № 575 დადგენილებისა „მუშა-მოსამსახურეთა მებოსტნეობის შესახებ“, საბოსტნეებად გამოსაყოფი მიწის ნაკვეთების ოდენობის ნაწილში.

## 90 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 9 ივნისის № 416 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 9 ივნისის № 416 დადგენილებით დამტკიცებულ ინსტრუქციას, რომელიც შეეხება ავტომობილებისათვის თხევადი სათბობის ხარჯვის ნორმების 3-8 პროცენტამდე გადიდებას:

ა) №№ 1 და 2 დანართში — „ლენტეხის რაიონი“;

ბ) № 3 დანართში —„ლენტეხის რაიონის გზები“:

„ლენტეხი-ბავარი — სიგრძით 25 კმ“.

„ლენტეხი-წანარი — სიგრძით 20 კმ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) № 4 დანართში „ლენტეხი-უშხული — საერთო სიგრძით 90 კმ“.
„ლენტეხი-ბავარი — საერთო სიგრძით 25 კმ“.
„ლენტეხი-წანარი — საერთო სიგრძით 20 კმ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 13 აგვისტო, № 499.

## 91 ნადირობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 11 მარტის ბრძანებულების შეფარდების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 11 მარტის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს:

ა) „ნადირობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 11 მარტის ბრძანებულების შეფარდების წესი, № 1 დანართის თანახმად.

ბ) ნანადირევის საცალო ფასების პრეისკურანტი № 2 დანართის თანახმად.

2. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მთავარ სამმართველოსთან და სამონადირეო საზოგადოებებთან ერთად, სისტემატურად ჩაატარონ მოსახლეობაში ახსნა-განმარტება ბუნების სიმდიდრეთა დაცვის საკითხებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 13 იანვრის № 27 განკარგულება ნანადირევის საცალო ფასების დაწესების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 14 აგვისტო, № 510.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 14 აგვისტოს № 510
დადგენილების დანართი № 1

**„ნადირობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 11 მარტის ბრძანებულების შეფარდების წესი**

„ნადირობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 11 მარტის ბრძანებულების შეფარდების მიზნით დაწესდეს, რომ:

1. ნებადაურთველ ნადირობად ჩაითვლება ბუნებრივი თავისუფლების მდგომარეობაში მყოფი ნადირისა და ფრინველის მოპოვება (მოკვლა ან დაჭერა) მოქალაქის მიერ მაშინ, როდესაც მას არა აქვს ერთიანი ნიმუშის სანადირო ბილეთი, ან სათანადო სახელმწიფო ორგანოს მიერ მიცემული ნებართვა სამეცნიერო ან სხვა სპეციალური მიზნით გარეული ცხოველის მოპოვების შესახებ.

2. ნადირობისათვის აკრძალულ ადგილებად ითვლება: სახელმწიფო ნაკრძალები და სანადირო აღკვეთილები.

სახელმწიფო-სანადირო მეურნეობაში ნადირობა შეიძლება მხოლოდ ამ მეურნეობის დირექციის ნებართვით. მიწერილ სანადირო მეურნეობაში ნადირობა შეუძლიათ ამ მეურნეობისათვის დადგენილ შინაგანაწესის დაცვით მხოლოდ იმ ორგანიზაციების წევრებს, რომელთაც ეკუთვნით ეს მიწერილი მეურნეობა. ან იმ პირებს, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელთაც აქვთ მეურნეობის მფლობელი ორგანიზაციის სპეციალური ნებართვა მიწერილ მეურნეობაში ნადირობის შესახებ.

3. ნადირობისათვის აკრძალულ ვადად ითვლება ნადირობა არა იმ ვადებში, რომელიც ყოველწლიურად ქვეყნდება პრესაში ნადირობის მარეგულირებელი ორგანოების მიერ.

4. ნადირობის აკრძალულ იარაღად და საშუალებად ითვლება:

ა) ნადირობის მიზნით ლელის, ლერწმისა და სხვა შამბნარის დაწვა;

ბ) სასარგებლო გარეული ფრინველის კვერცხის შეგროვება, აგრეთვე ამ ფრინველთა ბუდეების მოშლა;

გ) სასარგებლო ფრინველისა და ნადირის მასობრივი მოპოვება ბადეებით, ფრინველის დამჭერი წებოთი, მარყუჟებით, ორმოებით, სარეგვავებით, ვენტერებით, სათევზაო ჩანგლებით, საწამლავით, ღამით ცეცხლის დანთებით, მწყერის ფანრებით დაჭერით, სანადირო თოფებზე მოწყობილი პროჟექტორების განათებით, მოსატყუებელი ფარდით, დაგუშაგებული თოფებით, ლიპ თოვლზე ნადირის დევნით, მოჭრილ ლერწამზე ან ლელზე ნადირის შერეკვით და დევნით, ავტომანქანიდან, მოტოციკლიდან და ნავებიდან განათებული ფარებისა და პროჟექტორების დახმარებით კურდღელზე და სხვა სასარგებლო ნადირზე ღამით ნადირობა, სტიქიური უბედურების დროს შიმშილით დაუძლურებული მოყინული სასარგებლო ნადირისა და ფრინველის დაჭერით, ხის ფუღუროს შებოლვებით, არა სანადირო შაშხანა თოფით, ავტომანქანის, მოტოციკლის და თვითმფრინავის გამოყენებით (გარდა მავნე მტაცებელ ნადირზე ნადირობისა).

5. ნადირობის წესების დარღვევის შემთხვევაში შედგება ოქმი, სადაც აღინიშნება დარღვევის დრო, ადგილი, ოქმის შემდგენის თანამდებობა, გვარი, სახელი და მამის სახელი, დამრღვევის გვარი, სახელი და მამის სახელი, დაბადების წელი, სამსახურის ადგილი, მისამართი, დარღვევის შემთხვევის მოკლე შინაარსი. ოქმში აღინიშნება აგრეთვე რა საბუთები აღმოაჩნდა ნადირობის წესების დამრღვევს, აღინიშნება სანადირო იარაღი (თოფი, ბადე, დანა და სხვა) და წესის დარღვევის შედეგად მოპოვებული ნანადირევი, რომელიც ჩამოერთვა მას.

ოქმზე ხელს მოაწერს ნადირობის წესების დამრღვევი და ოქმის შემდგენი. იმ შემთხვევაში, როდესაც ნადირობის წესების დამრღვევი უარს განაცხადებს ოქმის ხელის მოწერაზე, ამის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქმში კეთდება სათანადო ჩანაწერი, რომელსაც ადასტურებენ დამსწრენი. იქვე აღინიშნება მათი მისამართი.

ოქმის შემდგენი ვალდებულია ოქმი შეადგინოს სამ ეგზემპლარად, აქედან ერთი ეგზემპლარი მისცეს დამრღვევს და ორი ეგზემპლარი კი ჩამორთმეულ სანადირო იარაღსა და ნანადირევთან ერთად გადასცეს ნადირობის მარეგულირებელი სარაიონო (საქალაქო) ორგანოს, რომელიც თავის მხრივ ოქმის ერთ ეგზემპლარს უგზავნის მშრომელთა დეპუტატების სარაიონო (საქალაქო) საბჭოს აღმასკომთან არსებულ ადმინისტრაციულ კომისიას დამრღვევის დასასჯელად. ნანადირევი გადაეცემა სათანადო სავაჭრო ორგანიზაციას ნანადირევის საცალო ფასების თანდართულ საპრეისკურანტო ფასებში გასაყიდად, ხოლო სანადირო იარაღი — მონადირეთა საზოგადოების მაღაზიებს. სანადირო იარაღის და ნანადირევის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა, საკომისიო ანარიცხების გამოკლებით, შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში. გადაუდებელ შემთხვევაში ნანადირევის გაყიდვა ხდება ადგილზე, სათანადო აქტის შედგენით.

6. ნადირობის წესების დარღვევით სახელმწიფო სანადირო ფონდისათვის მიყენებული ზარალის (მოკლული ცხოველის, განადგურებული ბუნაგისა და ბუდეების, შეგროვებული კვერცხებისა და სხვ.) ანაზღაურების შესახებ ნადირობის მარეგულირებელი ორგანო აღძრავს სარჩელს დამრღვევის მიმართ სახალხო სასამართლოში. ზარალი გამოიანგარიშება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 10 აგვისტოს № 536 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 26-ე პუნქტის შესაბამისად.

7. ნადირობის წესების დარღვევისათვის ჩამოსართმევ იარაღად ითვლება ყველა ის სანადირო იარაღი და მოწყობილობა, რომელიც გამოყენებული იყო ნადირობის წესების დარღვევისას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჰირაქაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 14 აგვისტოს № 510
დადგენილების დანართი № 2

## პრეისკურანტი

### ნანადირევის საცალო ფასებისა

| დასახელება | ერთეული ზომა | საცალო ფასი მან. კაპ. |
|---|---|---|
| 1. ირემი | კგ | 1—00 |
| 2. შველი | „ | 1—40 |
| 3. ჯიხვი | „ | 0—90 |
| 4. არჩვი | „ | 0—90 |
| 5. გარეული ღორი | „ | 1—50 |
| 6. დათვი | „ | 0—90 |
| 7. კურდღელი | „ | 1—00 |
| 8. გარეული ბატი, სავათი | „ | 1—00 |
| 9. დურაჯი | ცალი | 1—25 |
| 10. ხოხობი | „ | 1—40 |
| 11. გნოლი და კაკაბი | „ | 1—10 |
| 12. როჭო | „ | 1—10 |
| 13. შურთხი | „ | 1—00 |
| 14. ტყის ქათამი | „ | 0—60 |
| 15. სარსარაკი | „ | 0—50 |
| 16. მტრედი | „ | 0—50 |
| 17. გვრიტი | „ | 0—40 |
| 18. ჩიბუხა ჭოვილო, ღალღა, მწყერი | „ | 0—30 |
| 19. წყალში მოცურავენი: გარეული იხვი, კუდსადგისა იხვი, ნაცარა იხვი | „ | 1—20 |
| მელოტა, იხვინჯა | „ | 0—70 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჭირაქაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 92 რესპუბლიკაში ავტოსალტეების რემონტის მოწესრიგების შესახებ

აღინიშნოს, რომ მას შემდეგ, რაც საექსპლუატაციოდ გადაეცა სალტესარემონტო საწარმოები საგარეჯოსა და გუდაუთაში, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოთა საერთო სიმძლავრემ ირგვლივი პროტექტორის დადების მეთოდით ავტოსალტეების აღდგენითი რემონტის დარგში მიაღწია 160 ათას ცალს წელიწადში, რაც სავსებით აკმაყოფილებს რესპუბლიკის მოთხოვნილებას, როგორც სახელმწიფო დაწესებულებებისათვის, ისე ავტომობილების ინდივიდუალურ მფლობელთათვის სალტეების აღდგენაზე.

ამავე დროს საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოები არ არიან დატვირთული იმის გამო, რომ პარალელურად მოქმედებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველოს, ცეკავშირისა და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოს 18 სალტესარემონტო საამქრო.

ეს საამქროები, რომლებიც მეტწილად განლაგებული არიან საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სალტესარემონტო საწარმოების მახლობლად, არ არიან საჭირო ტექნოლოგიური მოწყობილობით აღჭურვილი და სათანადოდ დატვირთული. ამ საამქროებში შესრულებული სამუშაოს ხარისხი დაბალია, ხოლო სალტეების აღდგენის თვითღირებულება და გასაცემი ფასები 1,5-2-ჯერ მეტია, ვიდრე საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოებში.

რესპუბლიკაში ავტოსალტეების რემონტის მოწესრიგების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. აიკრძალოს 1965 წლის იანვრიდან ირგვლივი პროტექტორის დადების მეთოდით ავტოსალტეების აღდგენითი რემონტის წარმოება ყველა უწყების საწარმოში, გარდა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სალტესარემონტო ქარხნებისა.

2. დაუწესდეთ 1965 წლისათვის საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს გეგმა სალტეების შეგროვებისა და ჩაბარებისა აღსადგენად 135 ათასი ცალის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაოდენობით, აგრეთვე 25 ათასი ცალის ჩაბარებისა და რემონტისა ინდივიდუალურ მფლობელთა მსუბუქი ავტომობილებისათვის.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარმა სამმართველომ გადასცეს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ბალანსიდან ბალანსზე სალტესარემონტო საწარმო ქ. მახარაძეში შენობებით, ნაგებობებით, მოწყობილობით, წარმოების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმებით, შრომისა და ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რაოდენობის გეგმებით 1964 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობის მიხედვით.

4. დაწესდეს, რომ ავტოსალტეებს, რომლებსაც მსუბუქი ავტომობილების ინდივიდუალური მფლობელები აბარებენ ირგვლივი პროტექტორის დადების მეთოდით აღდგენილი რემონტისათვის, მიიღებენ როგორც საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, ისე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოს მიმღები და გადამცვლელი პუნქტები. ამასთან ავტოსალტეების აღდგენითს რემონტს პროტექტორის დადების მეთოდით აწარმოებენ მხოლოდ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სალტესარემონტო ქარხნები ან ავტოსატრანსპორტო კანტორები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარმა სამმართველომ და საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ წესი ავტომობილების მიღებისა აღდგენითი რემონტისათვის ირგვლივი პროტექტორის დადების მეთოდით და შეკეთებული ავტოსალტეების მიცემისა ინდივიდუალური მფლობელებისათვის. ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ საჭიროა მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები შეუქმნან მოსახლეობას.

5. დაევალოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს განსაკუთრებული კონტროლი გაუწიოს იმას, რომ დროულად და ხარისხიანად შესრულდეს ავტოსალტეების რემონტი ირგვლივი პროტექტორის დადების მეთოდით თბილისისა და ქუთაისის სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოების სატროლეიბუსო მეურნეობის საჭიროებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსთან ერთად, ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს ავტომობილების ინდივიდუალურ მფლობელთა სალტეების რემონტის გასაცემი ფასები.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ და ფინანსთა სამინისტრომ შეიტანონ ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებები სახალხო მეურნეობის 1964-1965 წლების გეგმებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 18 აგვისტო, № 515.

## 93 საავტომობილო ტრანსპორტით და საქალაქო ელექტროტრანსპორტით სარგებლობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის დაწესების შესახებ

„ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დადგენილ იქნას სამგზავრო საავტომობილო ტრანსპორტით და საქალაქო ელექტროტრანსპორტით სარგებლობის წესების დარღვევისათვის ჯარიმების დადების შემდეგი წესი:

ა) ჯარიმები შეიძლება დადებულ იქნას შემდეგი ოდენობით:

ტრამვაიში, ავტობუსში, ტროლეიბუსში, საქალაქო მიმოსვლის სამარშრუტო ტაქსში უბილეთოდ მგზავრობისათვის ან ხელბარგის აუნაზღაურებლად წაღებისათვის, პაპიროსის მოწევისათვის — 50 კაპიკი ერთ მგზავრზე და 50 კაპიკი — ხელბარგის ყოველი ადგილისათვის;

საგარეუბნო ან საქალაქთაშორისო მიმოსვლის ავტობუსში უბილეთოდ მგზავრობისათვის ან ხელბარგის აუნაზღაურებლად წაღე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისათვის, პაპიროსის მოწევისათვის — 1 მანეთი თითო მგზავრზე და 1 მანეთი ბარგის თვითეული ადგილისათვის.

ჯარიმებს ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ადგილზე გადაახდევინებენ მილიციის მუშაკები.

ჯარიმის გადახდევინება არ ათავისუფლებს მგზავრს მგზავრობის ან ხელბარგის წაღების ღირებულების გადახდისაგან;

ბ) ტრამვაიში, ავტობუსში, ტროლეიბუსში ფეთქებადი, რადიოაქტიური, ადვილაალებადი, მომწამვლელი ნივთიერებებისა და საგნების წაღებისათვის, თუ ეს დარღვევა არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას — 10 მანეთამდე.

„ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნულ შემთხვევებში უნდა შედგეს აქტი, რომელშიაც აღინიშნება დამრღვევის ვინაობა, დარღვევის ხასიათი, ადგილი და დრო, აგრეთვე მოწმეები, თუ ისინი დაესწრნენ.

აქტის შედგენის უფლება აქვთ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებს, მილიციის მუშაკებს, ავტოსატრანსპორტო და ელექტროსატრანსპორტო ორგანიზაციების თანამდებობის პირებს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების წევრებს, სამგზავრო ავტოტრანსპორტისა და ელექტროტრანსპორტის საზოგადოებრივ კონტროლიორებს, რომლებსაც სათანადო მოწმობები აქვთ. თუ დამრღვევს არ აღმოაჩნდება მისი პირადობის დამადასტურებელი საბუთები და არ არიან მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ მისცენ მის შესახებ სათანადო ცნობები, იგი ვინაობის გამოსარკვევად და აქტის შესადგენად შეიძლება მიყვანილ იქნას მილიციის განყოფილებაში (ქვეგანყოფილებაში).

აღნიშნული წესით შედგენილი აქტი წარედგინება მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული) საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ ადმინისტრაციულ კომისიებს.

2. ამ დადგენილებით გათვალისწინებული ჯარიმების დადება და გადახდევინება, აგრეთვე ჯარიმების დადების შესახებ გამოტანილ დადგენილებათა გასაჩივრება წარმოებს იმ ვადების ფარგლებში და იმ წესით, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულებით „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმასკომებს მიიღონ გადაწყვეტილებანი საავტომობილო და საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით სარგებლობის წესების შესახებ ამ დადგენილების საფუძველზე და შემოიღონ ეს წესები სამოქმედოდ არა უგვიანეს მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 21 აგვისტო, № 526.

## 94 რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საქმის გაუმჯობესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში გაიზარდა რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა რიცხვი, რომელთა წინადადებებმა საშუალება მოგვცა გადაგვეჭრა სოფლის მეურნეობის მთელი რიგი მნიშვნელოვანი პრობლემები, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამუშავებისა და აღების მექანიზაციის დარგში.

მაგრამ დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის ამ საქმეს ჯერ კიდევ არ ექცევა სათანადო ყურადღება. ნელი ტემპებით ინერგება გამოგონებანი და რაციონალიზატორული წინადადებანი სოფლის მეურნეობაში. სუსტად არის მოწყობილი გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა მიღწევების პროპაგანდა.

მთელ რიგ შემთხვევებში გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს საჭირო დახმარებას არ უწევენ სამინისტროები, უწყებები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები მათი წინადადებების დამუშავებისა და განხორციელების საქმეში.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელები არ იღებენ სათანადო ზომებს ახალი მანქანების საცდელი ნიმუშების დროულად და ხარისხიანად დამზადებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა ჩანს სათანადო წესრიგი გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების ავტორთა მატერიალური სტიმულირების საქმეში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 30 ივნისის № 560 დადგენილების განსახორციელებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს, წყალთა მეურნეობის სამინისტროს, რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას" და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტს:

ა) სერიოზული ყურადღება მიაქციონ და გადაჭრით გააუმჯობესონ გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხაზით მუშაობა სოფლის მეურნეობის დარგში; უზრუნველყონ თემატიკური გეგმების დროულად შემუშავება, რაციონალიზატორთა წინადადებების განხილვა და გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა ექსპერიმენტული შემოწმება; მიიღონ ზომები, რათა გაუმჯობესდეს მუშაობა გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხაზით დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში და უსწრაფესად დანერგონ სოფლის მეურნეობაში გამოგონებანი და რაციონალიზატორული წინადადებანი;

ბ) მოაწყონ სოფლის მეურნეობის დარგში იმ სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების სისტემატური შერჩევა, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს გამოგონებებად, რათა წარედგინოს ისინი სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს; დროზე შეადგინონ განაცხადები საავტორო მოწმობების მიცემის შესახებ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — წინადადებანი ამ მიღწევების საზღვარგარეთ დაპატენტების შესახებ; მიიღონ სათანადო ზომები, რათა თავიდან იქნას აცილებული ცნობების ნაადრევად გახმაურება ამ მიღწევების შესახებ;

გ) გაითვალისწინონ სათანადო გეგმებით გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა გამოყენება. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენება გაითვალისწინონ გეგმებით, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების დაგეგმვის დადგენილი წესის შესაბამისად;

დ) გააძლიერონ რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა მიღწევების პროპაგანდა, რისთვისაც გამოსცენ მასობრივი ტირაჟით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბროშურები, პლაკატები, პროსპექტები და საინფორმაციო ფურცლები, აგრეთვე ფართოდ გამოიყენონ ამ მიზნისათვის პრესა, რადიო და ტელევიზია.

2. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ, წყალთა მეურნეობის სამინისტრომ, რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლტექნიკამ" უზრუნველყონ მანქანების, დანადგარების საცდელი ნიმუშების შექმნა და პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა წინადადებების მიხედვით. საცდელი ნიმუშების დამზადება გაითვალისწინონ შესაბამისი საწარმოებისა და ორგანიზაციების საწარმოო გეგმებით.

3. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ:

ა) მოაწესრიგოს ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს და წყალთა მეურნეობის სამინისტროს განაცხადებით, აგრეთვე მანქანების საცდელი ნიმუშებისა და პარტიების შეკვეთების განაწილება, რისთვისაც მოაწყოს სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ქარხანასთან ექსპერიმენტული საამქრო მანქანების საცდელი ნიმუშებისა და პარტიების დასამზადებლად, აგრეთვე შესაბამისად გაადიდოს საკონსტრუქტორო ბიუროს სპეციალისტთა რაოდენობა;

ბ) გააუმჯობესოს დამზადებული მანქანების ხარისხი და მაქსიმალურად შეამციროს მათი ღირებულება.

4. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ მიიღოს ზომები საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ქარხნის საწარმოო კორპუსებისა და ექსპერიმენტული საამქროს მშენებლობის დასაჩქარებლად.

5. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ უზრუნველყონ სოფლის მეურნეობის დარგში გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხარჯების დაფინანსება კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების ხარჯთაღრიცხვებით, იმ წესით, რაც გათვალისწინებულია 66, 67 და 68 პუნქტებით დებულებისა აღმოჩენების, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების შესახებ, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 24 აპრილის № 435 დადგენილებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ, წყალთა მეურნეობის სამინისტრომ, რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლტექნიკამ“ უზრუნველყონ სპეციალისტების გამოყოფა, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხაზით მუშაობისათვის ცენტრალურ აპარატში, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის სასოფლო-სამეურნეო ორგანოებში, აგრეთვე საწარმოო სამმართველოებში, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში, „საქსოფლტექნიკის“ განყოფილებებში (გაერთიანებებში) და საბჭოთა მეურნეობებში.

7. დაევალოთ საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, რომლებმაც დასანერგავად მიიღეს გამოგონებანი და რაციონალიზატორული წინადადებანი, აცნობონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებს ან შესაბამის ზემდგომ ორგანიზაციებს გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა გამოყენების შედეგები, რათა დანერგონ ისინი სხვა საწარმოებმა და ორგანიზაციებმა. ურჩიონ კოლმეურნეობებს გაუგზავნონ ასეთივე ცნობები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებს.

8. გასამრჯელოს გაცემა „საქსოფლტექნიკის“ რესპუბლიკური გაერთიანებისა და რაიონული გაერთიანებების (განყოფილებების) მიერ დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში ისეთი გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვისათვის, რომლებიც იძლევიან მომჭირნეობას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ტექნიკის ექსპლუატაციისა და რემონტის დროს, წარმოებს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ხარჯზე.

9. მიღებულ იქნას ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1964 წლის 30 ივნისის № 560 დადგენილებით:

ა) რჩევა მისცა კოლმეურნეობებს სისტემატურად იმუშაონ გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარებისათვის, დახმარება აღმოუჩინონ სოფლის გამომგონებლებსა და რაციონალიტორებს, შექმნან საჭირო პირობები მათი წინადადებების დასანერგავად საკოლმეურნეო წარმოებაში; პასუხისმგებლობა გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხაზით მუშაობის ორგანიზაციისათვის დააკისრონ კოლმეურნეობის ერთ-ერთ სპეციალისტს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) დაავალა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს გამოავლინოს სსრ კავშირში გამოყვანილი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ახალი ჯიშებიდან ისეთი ჯიშები, რომლებიც შეიძლება დაპატენტებულ იქნან საზღვარგარეთ იმ მიზნით, რომ გაიყიდოს მათზე ლიცენზიები ამ კულტურების ექსპორტის დროს სახელმწიფო ინტერესების დაცვის თვალსაზრისით და წარუდგინოს შესაბამისი წინადადებანი სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს;

გ) დაადგინა იმ გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა ავტორებისათვის გასამრჯელოს მიცემის შემდეგი წესი, რომლებიც დანერგილია კოლმეურნეობებში ან საბჭოთა მეურნეობებში:

თუ გამოგონება ან რაციონალიზატორული წინადადება დანერგილია მხოლოდ ერთ კოლმეურნეობაში, მაშინ ავტორს გასამრჯელოს მისცემს ეს კოლმეურნეობა იმ წესის შესაბამისად და გაცემის იმ წყაროების ხარჯზე, რომლებიც დადგენილია სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით;

თუ გამოგონება ან რაციონალიზატორული წინადადებანი დანერგილია ერთი საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებში ან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მაშინ ავტორს გასამრჯელოს მისცემს ეს სამმართველო იმ საბიუჯეტო სახსრების ხარჯზე, რომლებიც გამოიყოფა გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხარჯებისათვის;

თუ გამოგონება ან რაციონალიზატორული წინადადება დანერგილია რამდენიმე საწარმოო სამმართველოს ან მთლიანად რესპუბლიკის კოლმეურნეობებში, ან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მაშინ ავტორებს გასამრჯელოს მისცემს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრო იმ საბიუჯეტო სახსრების ხარჯზე, რომლებიც გამოიყოფა გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხარჯებისათვის;

დ) ორგანიზაციები, რომლებიც გასცემენ საავტორო გასამრჯელოს რამდენიმე სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოში (ორგანიზაციაში) ან კოლმეურნეობებში დანერგილი გამოგონებისათვის ან რაციონალიზატორული წინადადებებისათვის, არ მიიღებენ მათ მიერ გაცემული თანხების რაიმე ნაწილის საზღაურს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისაგან ან კოლმეურნეობებისაგან, რომლებმაც გამოიყენეს გამოგონება ან რაციონალიზატორული წინადადება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) ორგანიზაციები, რომლებმაც გასცეს საავტორო გასამრჯელო მრეწველობაში დანერგილი და სოფლის მეურნეობაში გამოყენებული გამოგონებისათვის ან რაციონალიზატორული წინადადებებისათვის, არ მიიღებენ გაცემული გასამრჯელოს რაიმე ნაწილის საზღაურს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისაგან, ორგანიზაციებისაგან, კოლმეურნეობისა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებისაგან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 24 აგვისტო, № 535.

**95** **„საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ტრესტ „სოფლმეურნტრანსის" სპეციალიზებული საავტომობილო მეურნეობების მიერ კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ტვირთების გადაზიდვის წესის შესახებ დებულების" დამტკიცების თაობაზე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს დებულება „საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ტრესტ „სოფლმეურნტრანსის" სპეციალიზებული საავტომობილო მეურნეობების მიერ კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ტვირთების გადაზიდვის წესის შესახებ".

2. ეს დებულება გავრცელდეს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ყველა ავტოსატრანსპორტო კანტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაზე, რომლებიც ეწევიან სასოფლო-სამეურნეო ტვირთებისგადაზიდვას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 24 აგვისტო, № 536.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 24 აგვისტოს № 536
დადგენილებით

# დებულება

## საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ტრესტ „სოფლმეურნტრანსის" სპეციალიზებული საავტომობილო მეურნეობების მიერ კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ტვირთების გადაზიდვის წესის შესახებ

### I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს სსრ საავტომობილო მეურნეობის სამინისტროს ტრესტ „სოფლმეურნტრანსის" სპეციალიზებული საავტომობილო მეურნეობანი ახორციელებენ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების ტვირთების ცენტრალიზებულ გადაზიდვას, მათ შორის მარცვლეული და ტექნიკური კულტურების, ბოსტნეულის, კარტოფილისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადაზიდვას დამამზადებელ პუნქტებში, გადამმუშავებელ საწარმოებსა და ხანგრძლივი შენახვის ადგილებში, აგრეთვე სასილოსე მასის, სასუქების, ქიმიკატების, ნავთობპროდუქტების, საშენი მასალებისა და სხვა მასობრივი ტვირთების გადაზიდვას.

2. სოფლმეურნტრანსის სპეციალიზებულ საავტომობილო მეურნეობათა საქმიანობის რაიონებს და იმ კოლმეურნეობების, საბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭოთა მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების ნუსხას, რომლებსაც ისინი მომსახურებას უწევენ, დააწესებს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ტრესტი „სოფლმეურნტრანსი“ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროსთან შეთანხმებით.

3. ტრესტ „სოფლმეურნტრანსის“ საავტომობილო მეურნეობანი და მათი ავტოკოლონები სასოფლო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვის განხორციელების დროს მუშაობენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების (საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების) საწარმოო სამმართველოებთან მჭიდრო კონტაქტით და მათთან ერთად გადაწყვეტენ ტვირთზიდვის რიგითობის, მუშაობის ცვლადობის საკითხებს და სხვა საკითხებს, რომლებიც ავტომობილების გამოყენების წესს შეეხება.

4. ტრესტ „სოფლმეურნტრანსის“ ავტომობილების გაგზავნა მათი მუდმივი ადგილსამყოფელის გარეთ სამუშაოდ მოსავლის აღების პერიოდში წარმოებს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, იმ სამინისტროებისა და უწყებების ერთობლივი გადაწყვეტილებით, რომლებიც ეწევიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებას; ამ გადაწყვეტილებას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

5. ტრესტ „სოფლმეურნტრანსის“ ავტომეურნეობები მოაწყობენ და შეათანხმებენ საერთო სარგებლობის ავტომეურნეობათა და იმ სხვა ორგანიზაციათა ავტომობილების მუშაობას, რომლებიც გამოყენებული იქნებიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადასაზიდად მათი საქმიანობის რაიონებში, აგრეთვე ტექნიკურ დახმარებას გაუწევენ ამ ავტომეურნეობებს. ტექნიკური დახმარების ღირებულებას გადაიხდიან ავტომობილების მფლობელები.

6. თუ არ არსებობს მოთხოვნილება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ტვირთების გადაზიდვაზე, შესაძლებელია ტრესტ „სოფლმეურნტრანსის“ ავტომეურნეობათა ავტომობილების გამოყენება მრეწველობის, მშენებლობის, საქალაქო მეურნეობისა და სხვა დარგების საჭიროებათა მომსახურებისათვის.

## II. ტვირთზიდვის ორგანიზაციისა და შესრულების წესი

7. სასოფლო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვას ახორციელებენ ტრესტ „სოფლმეურნტრანსის“ საავტომობილო მეურნეობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელშეკრულებებით, აგრეთვე ერთჯერადი შეკვეთებით, რომლებიც წესი, გადასაზიდი ტვირთების დაცვა-შენახვისათვის პასუხისმგებლობით.

ტვირთების გადაზიდვას კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ერთჯერადი შეკვეთებით ეწევიან ტრესტ „სოფლმეურნტრანსის“ ავტომეურნეობები იმ შემთხვევაში, თუ ეს გადაზიდვა ხელს არ უშლის ტვირთზიდვის შესრულებას დადებული ხელშეკრულებებით, ან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების (საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების) შესაბამის საწარმოო სამმართველოებთან შეთანხმებით.

8. ტრესტ „სოფლმეურნტრანსის“ ავტომეურნეობანი დადებენ ხელშეკრულებებს:

ა) სამმხრივ ხელშეკრულებებს — კოლმეურნეობებთან (საბჭოთა მეურნეობებთან) და დამამზადებელ პუნქტებთან (გადამმუშავებელ საწარმოებთან) — იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის გადაზიდვის შესახებ, რომლებსაც სახელმწიფოს მიჰყიდიან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა ორგანიზაციები.

აღნიშნული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული იქნება:

ტვირთზიდვის მოცულობა და პირობები, ანაზღაურება ტვირთზიდვის ღირებულებისა, ავტომობილების ზენორმატიული გაცდენისა გადმოტვირთვის დროს და დამამზადებელი პუნქტების (გადამმუშავებელი საწარმოების) სატრანსპორტო-საექსპედიციო ოპერაციების დროს;

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პასუხისმგებლობა ტვირთის დროულად წარდგენისათვის, ავტომობილების ზენორმატიული გაცდენისათვის დატვირთვის დროს და იმ შემთხვევაში, თუ დაბრუნებულ იქნა ტვირთი დამამზადებელი პუნქტის მიერ მის მიღებაზე უარის განცხადების გამო;

ბ) ორმხრივ ხელშეკრულებებს — კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან შიგასამეურნეო ტვირთზიდვის შესახებ;

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს პურის პროდუქტების მთავარ სამმართველოს დამამზადებელ პუნქტებთან შორეული პუნქტებიდან მარცვლის გადაზიდვის და შიგასამეურნეო ტვირთზიდვის შესახებ;

„საქსოფლტექნიკის“ განყოფილებებთან, მომმარაგებელ-გამსაღებელ და სხვა საწარმოებთან და ორგანიზაციებთან, რომლებიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის აწვდიან მინერალურ სასუქებს, ქიმიკატებს, ნავთობპროდუქტებს, საშენ მასალებსა და სხვა მასობრივ ტვირთებს.

აღნიშნულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებული იქნება ტვირთზიდვის მოცულობა და პირობები, ანაზღაურება ტვირთგამგზავნთა მიერ ავტომობილების ზენორმატიული გაცდენისა გადმოტვირთვის დროს ტვირთმიმღებთა მიზეზით — ამ უკანასკნელთა ხარჯზე.

ტიპობრივი ხელშეკრულება ამ დებულების მე-8 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ტვირთზიდვის შესრულების შესახებ თან ერთვის. მე-8 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ტვირთზიდვის შესრულების შესახებ ხელშეკრულების დადების დროს სახელმძღვანელოდ უნდა იქნას მიღებული ტიპობრივი ხელშეკრულება საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის შესახებ.

**შენიშვნა:** საერთო სარგებლობის ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ ტვირთის ცენტრალიზებულ გადაზიდვას ტრესტ „სოფლმეურნტრანსის" ავტომეურნეობათა მოქმედების რაიონში განლაგებულ ტვირთმიმღებთათვის, აწარმოებენ ამ ტვირთების გადაზიდვას აგრეთვე მოცემული რაიონების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის. ტვირთების გადაზიდვა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის რეგულარული საქალაქთაშორისო მიმოსვლით გადაეცემა შესასრულებლად შესაბამის სატვირთო საავტომობილო სადგურებსა და მათ სააგენტოებს.

9. ტრესტ „სოფლმეურნტრანსის" ავტომეურნეობებს ეკისრებათ მატერიალური პასუხისმგებლობა მათ მიერ დადებული ხელშეკრულებებით კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, დამამზადებელი პუნქტების, გადამმუშავებელი საწარმოების, გამსაღებელი ორგანიზაციების, რკინიგზის სადგურების, ნავსადგურების, ნავმისადგომებისა და სხვა ტვირთგამგზავნების წინაშე ტვირთზიდვის სახელშეკრულებო მოცულობის მთლიანად და დროულად შესრულებისათვის.

ისინი თავისუფლდებიან აღნიშნული პასუხისმგებლობისაგან ამ შემთხვევებში:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) თუ გაცდენილ იქნა მოძრავი შემადგენლობა სხვა საბუღალტ-ებისათვის მთავრობის ორგანოების გადაწყვეტილებებით;

ბ) თუ ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა მოაცდინეს მოძრავი შემადგენლობა სტიქიური უბედურების ლიკვიდაციისათვის;

გ) ისეთ შემთხვევებში, რომლებიც აღნიშნულია საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთზიდვის ერთიანი ტარიფების გამოყენების წესებით.

10. ტვირთის გადაზიდვის ფაქტიური მანძილი დაწესდება (ტვირთზიდვის დაწყებამდე) ტრესტ „სოფლმეურნტრანსის" ავტომეურნეობათა და იმ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა ორგანიზაციების ერთობლივი აქტებით, რომლებიც ანაზღაურებენ ტვირთზიდვის ღირებულებას; გადაზიდვის მანძილის შეცვლის დროს წარმოებს განმეორებითი აქტის შედგენა იმავე წესით.

ერთი და იგივე შემკვეთის ტვირთების სხვადასხვა მანძილზე მასობრივი გადაზიდვის დროს რეკომენდებულია, ანგარიშსწორების გამარტივების მიზნით, დაწესდეს ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციასა და შემკვეთს შორის შეთანხმებით გადაზიდვის საშუალო მანძილი.

11. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიღება გადასაზიდად, შესრულებული სატრანსპორტო სამუშაოს აღრიცხვა და ამ გადაზიდვის ანაზღაურება წარმოებს სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადებებით ან აზომვის, აწონის აქტებით, შესაბამისად სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის და სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ დამტკიცებული მოქმედი ინსტრუქციისა ტვირთის გადაზიდვისათვის ანგარიშსწორების წესის შესახებ.

იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შიგასამეურნეო გადაზიდვა მოსავლის ასაღები აგრეგატებიდან, რომელთა წონა განისაზღვრება დროებითი ან მუდმივი შენახვის ადგილებზე ჩაბარების დროს, აგრეთვე მინდვრებში მისატანი ტვირთებისა, იწარმოებს, აღრიცხება და ანაზღაურდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შესაბამისი დოკუმენტებით და მათ მიერ დადასტურებული ჩანაწერებით ავტომობილების საგზურებში.

12. ტრესტ „სოფლმეურნტრანსის" ავტომეურნეობებს უფლება აქვთ აწარმოონ გადასაზიდად წარდგენილი ტვირთის ხელახლა აწონა გამგზავნის სასწორებით, აგრეთვე შეამოწმონ საჭიროების დროს ტვირთგამგზავნთან ან ტვირთმიმღებთან ერთად მისი სასწორების

ეროვნული ბიბლიოთეკა

წესივრობა, მათი დაყენების სისწორე და მოიპოვება თუ სრა დალ-
დასმული საწონები. ამასთან აღმოჩენილი უწესივრობა და უსწო-
რობა დაუყოვნებლივ უნდა აღმოფხვრან სასწორების მფლობე-
ლებმა.

13. ტრესტ „სოფლმეურნტრანსის" ავტომეურნეობანი მოვალე-
ნი არიან უზრუნველყონ ტვირთის გადაზიდვა ისეთი ავტომობილე-
ბითა და ავტომატარებლებით, რომელთა ძარები გაწყობილია მო-
ცემული ტვირთის უდანაკარგოდ გადაზიდვისათვის და მოძრავი შე-
მადგენლობის დატვირთვა ისე, რომ მაქსიმალურად იქნას გამოყე-
ნებული მისი ტვირთამწეობა და ტვირთტევადობა.

მარცვლის გადაზიდვის განხორციელების დროს მოძრავი შე-
მადგენლობა უნდა იყოს გასუფთავებული, ისე გაწყობილი, რომ
გამოირიცხოს მარცვლის დაკარგვა ტრანსპორტირების პროცესში;
ძარის ქიმები უნდა იყოს აწეული საჭირო სიმაღლეზე.

14. ტრესტ „სოფლმეურნტრანსის" ავტომეურნეობანი მოვალე-
ნი არიან კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, დამამზა-
დებელ პუნქტებთან (გადამმუშავებელ საწარმოებთან) ერთად მიი-
ღონ ზომები, რათა გაფართოვდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქ-
ტებისა და ტვირთების გადაზიდვა საავტომობილო მატარებლებით.

კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, მიმღები პუნქტები
და გადამმუშავებელი საწარმოები მოვალენი არიან უზრუნველყონ
მისასვლელი გზებისა და ტერიტორიების კეთილმოწყობა, მექანიზ-
მების დაყენება და შეუფერხებლივ მუშაობა ავტომატარებლების
სწრაფად დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის და საჭირო სასასწო-
რო მოწყობილობათა წესივრობა.

15. ტრესტ „სოფლმეურნტრანსის" ავტომეურნეობანი მოვალე-
ნი არიან საკუთარ ხარჯზე აღჭურვონ თავიანთი ავტომობილები ისე-
თი მოწყობილობებით, რომლებიც უზრუნველყოფენ მათი ტვირთ-
ამწეობის მაქსიმალურად გამოყენებას, ხოლო კოლმეურნეობები,
საბჭოთა მეურნეობები, დამამზადებელი პუნქტები და გადამმუშა-
ვებელი საწარმოები მოვალენი არიან თავიანთი სახსრებით უზრუნ-
ველყონ ტვირთის დატვირთვა-გადმოტვირთვის მექანიზაციის ღო-
ნისძიებათა განხორციელება.

16. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ტვირთების გადა-
ზიდვა ხორციელდება, როგორც წესი, ერთნახევარ ცვლად, ხოლო
სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მასობრივი აღებისა და დამ-
ზადების პერიოდში — ორცვლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტომობილების გადაყვანას ერთი სახეობის ტვირთის გადაზიდვიდან სხვა ტვირთების გადაზიდვაზე, აგრეთვე ტვირთზიდვის შესრულების რიგითობას განსაზღვრავენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების (საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების) საწარმოო სამმართველოები ტრესტ „სოფლმეურნტრანსის“ შესაბამის ავტომეურნეობებთან შეთანხმებით, ხოლო შორეული პუნქტებიდან მარცვლის გადაზიდვის ნაწილში — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს პურის პროდუქტების მთავარ სამმართველოს სისტემის ორგანიზაციებთან შეთანხმებით.

17. ტრესტ „სოფლმეურნტრანსის“ ავტომეურნეობანი ახორციელებენ ხელმძღვანელობასა და ოპერატიულ კონტროლს ტვირთზიდვის შესრულების მიმდინარეობისადმი, თავისი და მოზიდული მოძრავი შემადგენლობის მიმართ, თავიანთი სადისპეტჩერო პუნქტების მეშვეობით კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სასოფლო-სამეურნეო და სხვა მსხვილ საწარმოებსა და ორგანიზაციებში, სახაზო დისპეტჩერების, მოძრავი კოლონების დისპეტჩერების და საამისო რწმუნებათა მქონე პირების, აგრეთვე იმ პირების მეშვეობით, რომლებსაც მიცემული აქვთ სათანადო რწმუნებანი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სასოფლო-სამეურნეო და სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ.

18. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, „საქსოფლტექნიკის“ განყოფილებები და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და ორგანიზაციები ტექნიკურ დახმარებას უწევენ სათანადო ფასგადახდით სპეციალიზებულ საავტომობილო მეურნეობათა მოძრავ შემადგენლობას თავიანთი სახელოსნოების ძალებით და უფასოდ გამოუყოფენ ტრაქტორებს ავტომობილების ბუქსირებისათვის გზების ძნელადგასავლელ უბნებზე.

### III. ტვირთზიდვის ანაზღაურება და ანგარიშსწორება

19. ტვირთების გადაზიდვა კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა, სასოფლო-სამეურნეო და სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, რასაც ტრესტ „სოფლმეურნტრანსის“ ავტომეურნეობები ასრულებენ, ანაზღაურდება საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთზიდვის ერთიანი ტარიფებით და მათი შეფარდების წესების შესაბამისად.

20. ტვირთის მიღების, გაყოლის, ჩაბარების და სხვა იმ საექსპედიციო ოპერაციების ანაზღაურება, რომლებსაც ტრესტ „სოფლმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურნტრანსის“ ავტომეურნეობები ასრულებენ, წარმოებს შესაბამისად ტარიფებისა საექსპედიციო ოპერაციების და სხვა მომსახურებისათვის, რასაც ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციები ეწევიან ტვირთის გადაზიდვის დროს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე.

21. ტრესტ „სოფლმეურნტრანსის“ ავტომეურნეობების მიერ შესრულებული ტვირთზიდვისა და სატრანსპორტო-საექსპედიციო ოპერაციების ხარჯებს აანაზღაურებენ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, დამამზადებელი პუნქტები და სხვა საწარმოები და ორგანიზაციები დადგენილი წესით.

22. ამ დებულებით გაუთვალისწინებელ საკითხებზე სახელმძღვანელოდ უნდა იქნას მიღებული საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთზიდვის ერთიანი ტარიფები და მათი შეფარდების წესები, დებულება ტვირთზიდვის გეგმის შესრულებისა და გადასაზიდი ტვირთების დაცვა-შენახვისათვის ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციებისა და კლიენტურის ურთიერთი მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ და სხვა დებულებანი და ინსტრუქციები.

დებულების დანართი № 1

## ტიპობრივი ხელშეკრულება

**ტრესტ „სოფლმეურნტრანსის“ სპეციალიზებული ავტომეურნეობების მიერ იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის გადაზიდვის შესახებ, რომლებსაც კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა ორგანიზაციები მიჰყიდიან სახელმწიფოს**

**196 . . . წელს**

196 წლის „ “ _____

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს

_____

(ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციის დაწვრილებითი დასახელება)

რომელსაც შემდეგში ეწოდება „ავტომეურნეობა“ _____ _____ სახით, რომელიც მოქმედებს თანახმად მინდობილობისა, რაც გაცემულია _____

(მინდობილობის გამცემი ორგანიზაციის

_____

დასახელება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

196 წლის „ “ _____ № _____

_____

(გადამმუშავებელი საწარმოს დამზადების პუნქტის დაწვრილებითი დასახელება)

რომელსაც შემდეგში ეწოდება „მიმღები პუნქტი“ _____

_____ სახით, რომელიც მოქმედებს თანახმად მინ-

დობილობისა, რაც გაცემულია _____

(მინდობილობის გამცემი ორგანიზაციის

_____

დასახელება)

196 წლის „ “ _____ № _____

_____

(კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობის, სასოფლო-სამეურნეო საწარმოს და

_____

ორგანიზაციის დაწვრილებითი დასახელება)

რომელსაც შემდეგში ეწოდება „ტვირთგამგზავნი“ _____

_____ სახით, რომელიც მოქმედებს თანახმად მინ-

დობილობისა, რაც გაცემულია _____

_____

196 წლის „ “ _____ № _____

დავდეთ ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

## I. ხელშეკრულების საგანი

1. „ტვირთგამგზავნი“ გადასცემს, ხოლო „ავტომეურნეობა“ კისრულობს შეასრულოს იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის გადაზიდვა, რომლებსაც „ტვირთგამგზავნისაგან“ ყიდულობს „მიმღები პუნქტი“.

2. ტვირთზიდვის საერთო მოცულობა ამ ხელშეკრულებით განისაზღვრება წინასწარ _____ ათასი ტონით, ხელშეკრულების თანხა შეადგენს საორიენტაციოდ _____ ათას მანეთს. ტვირთზიდვის სახელშეკრულებო მოცულობას და შესაბამისად ხელშეკრულების თანხას დააზუსტებენ მხარეები გადაზიდვის დაწყებამდე არა უგვიანეს 15 დღისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაზიდვის დაზუსტებული მოცულობა გაფორმდება ხელშეკრულების დანართის სახით და წარმოადგენს მის განუყრელ ნაწილს.

## II. გადაზიდვის პირობები

3. „ავტომეურნეობა“ ასრულებს ტვირთზიდვას ამ ხელშეკრულებისა და იმ განაცხადების საფუძველზე, რომლებსაც წარადგენს „ტვირთგამგზავნი“ გადაზიდვის დაწყებამდე არა უგვიანეს ერთი დღე-ღამისა, თანდართული ფორმის მიხედვით. აღნიშნული განაცხადები აგრეთვე ითვლება „მიმღები პუნქტის“ განაცხადებად, ვინაიდან „მიმღები პუნქტი“ „ავტომეურნეობისათვის“ ამ განაცხადის გადაცემის წინ გასინჯავს მას და საჭიროების შემთხვევაში შეიტანს შესაბამის კორექტივებს.

4. „ტვირთგამგზავნს“ და „ავტომეურნეობას“ უფლება აქვთ შეცვალონ განაცხადში აღნიშნული ტვირთზიდვის მოცულობა ტვირთზიდვის სადღეღამისო მოცულობის 10 პროცენტის ფარგლებში, რაზედაც უნდა გააფრთხილონ იმ დღის 14 საათამდე, რომელიც წინ უძღვის გადაზიდვას.

5. „ავტომეურნეობის“ მოძრავი შემადგენლობის მოცდენა ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი ტვირთების გადასაზიდად, დაიშვება მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით.

6. „ავტომეურნეობა“:

ა) უზრუნველყოფს ტვირთის გადაზიდვას იმ ვადებში და იმ მოცულობით, რომლებიც გათვალისწინებულია შესასრულებლად მიღებული განაცხადებით;

ბ) კისრულობს პასუხისმგებლობას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის მოვლა-დაცვისათვის გზაში;

გ) _____

დ) _____

ე) _____

7. „ტვირთგამგზავნი“ :

ა) თავისი ძალებითა და საშუალებებით ეწევა დატვირთვას მოძრავ შემადგენლობაში _____ ცვლად _____ საათიდან _____ საათამდე სამუშაო, გამოსასვლელ და უქმე დღეებში, ამასთან უზრუნველყოფს დატვირთვის სამუშაოების რაც შეიძლება მეტ მექანიზაციას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) უზრუნველყოფს დასატვირთი მოედნებისა და მათი მისასვლელი გზების წესიერ მდგომარეობას და სათანადო განათებას, რათა დაუბრკოლებლივი გავლისა და მანევრირების საშუალება მიეცეთ დღე-ღამის ყოველ დროს ———————— ტონამდე ტვირთამწეობის ავტომობილებს, როდესაც დატვირთვის ფრონტი შეადგენს ———————— ავტომობილსა და ავტომატარებელს;

გ) უზრუნველყოფს მასზე მიმაგრებული იმ გზებისა და ხიდების შენახვას თავის ტერიტორიაზე წესიერ მდგომარეობაში, რომლებითაც ხორციელდება ტვირთზიდვა, აგრეთვე ტექნიკურ დახმარებას გაუწევს „ავტომეურნეობას“ და გამოყოფს ტრაქტორებს გზების ძნელადგასავლელ უბნებზე ბუქსირებისათვის;

დ) ინახავს სასასწორო მეურნეობას და დასატვირთავ მექანიზმებს ისეთ მდგომარეობაში, რაც უზრუნველყოფს ტვირთის დაუბრკოლებლივ აწონას და დატვირთვას ———————— ტონამდე ტვირთამწეობის ავტომობილებში (ავტომატარებლებში);

ე) გააფორმებს დადგენილი წესით სასაქონლო-სატრანსპორტო დოკუმენტებს გადასაზიდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებსა და ნედლეულზე;

ვ) უზრუნველყოფს „ავტომეურნეობის“ მოძრავი შემადგენლობის, სარემონტო-ტექნიკური და გასაწყობი საშუალებების, სადისპეტჩერო პუნქტის უფასო განლაგებას თავისი მდებარეობის პუნქტში; სატელეფონო კავშირით სარგებლობას, აგრეთვე უზრუნველყოფს „ავტომეურნეობის“ შოფრებსა და მომსახურე პერსონალს საცხოვრებელი ბინებით; ლოგინის მოწყობილობით და კვებით მათ ხარჯზე.

8. „მიმღები პუნქტი“:

ა) აწარმოებს თავისი ძალებითა და საშუალებებით მოძრავი შემადგენლობის გადმოტვირთვას გადმოტვირთვის პუნქტებში მთელი დღე-დამის განმავლობაში (———————— ცვლად ———————— საათიდან ———————— საათამდე) სამუშაო, გამოსავლელ და უქმე დღეებში, ამასთან უზრუნველყოფს გადმოტვირთვის სამუშაოების რაც შეიძლება მეტ მექანიზაციას;

ბ) ინახავს თავის გადმოსატვირთავ მოედნებსა და მათ მისასვლელ გზებს წესიერ და სათანადოდ განათებულ მდგომარეობაში, რათა დაუბრკოლებლივი გავლისა და მანევრირების საშუალება მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეცეთ საღამოს და ღამის საათებში ———————— ტონამდე ტვირთამწეობის ავტომობილებს, როდესაც დატვირთვა-გადმოტვირთვის ფრონტი შეადგენს ———————— ავტომობილსა და ავტომატარებელს;

ბ) ინახავს სასასწორო მეურნეობას და გადმოსატვირთავ მექანიზმებს ისეთ მდგომარეობაში, რაც უზრუნველყოფს დაუბრკოლებლივ აწონას და გადმოტვირთვას ———————— ტონამდე ტვირთამწეობის ავტომობილებისა (ავტომატარებლებისა);

დ) აწარმოებს დროულად და დადგენილი წესით სასაქონლო-სატრანსპორტო დოკუმენტების გაფორმებას, ამასთან ავტომობილის გადმოსატვირთად მოსვლის დროდ ითვლება შოფრის მიერ დოკუმენტების წარდგენის დრო;

ე) როდესაც „ავტომეურნეობის“ მოძრავი ავტოკოლონები განლაგებულია „მიმღები პუნქტის“ განლაგების ადგილას, დახმარებას გაუწევს მოძრავი შემადგენლობის, სარემონტო-ტექნიკური და გასაწყობ საშუალებათა განლაგებაში, უზრუნველყოფს შოფრებს და მომსახურე პერსონალს საცხოვრებელი ბინებით და კვებით მათ ხარჯზე, ამასთან საჭიროების დროს გამოიყენებს სასტუმროებს, კოლმეურნის სახლებს და ა. შ.;

ვ) უსასყიდლოდ დაუთმობს თავის ტერიტორიაზე ადგილს ავტომეურნეობის სადისპეტჩერო პუნქტისათვის და სატელეფონო კავშირს სამსახურებრივი სარგებლობისათვის;

ზ) ————————————————————————————

თ) ————————————————————————————

## III. ტვირთზიდვის ანაზღაურება და ანგარიშსწორების პირობები

9. „მიმღები პუნქტი“ გადაუხდის „ავტომეურნეობას“ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის გადაზიდვის, სატრანსპორტო-საექსპედიციო ოპერაციების ღირებულებას და ჯარიმებს მოქმედი ტარიფებისა და მათი შეფარდების წესების მიხედვით.

10. ტვირთზიდვისათვის ანგარიშსწორება წარმოებს შესრულებული ტვირთზიდვის სასაქონლო-სატრანსპორტო დოკუმენტების საფუძველზე. „მიმღები პუნქტი“ გადაიხდის გადასაზიდი ქირის უკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარნაკრეფის თანხას საგადამხდელო დავალებით ან ბანკის ჩეკით; გადასაზიდი ქირის ზედმეტად გადახდევინებულ თანხას დააბრუნებს „ავტომეურნეობა“ საგადამხდელო დავალებით.

11. ანგარიშსწორებას ტვირთზიდვის თვიური მოცულობის შეუსრულებლობისათვის ჯარიმების დასადებად შეადგენენ „მიმღები პუნქტი“ და „ავტომეურნეობა“ ყოველთვიურად შემდგომი თვის არა უგვიანეს 5 რიცხვისა. ეს ანგარიშსწორება უნდა იქნას აქცეპტებული იმავე თვის არა უგვიანეს 10 რიცხვისა, რის შემდეგ ჯარიმის თანხები გადახდილ უნდა იქნას 5 დღის ვადაში.

## IV. სანქციები

12. მხარეთა პასუხისმგებლობა ტვირთზიდვის თვიური მოცულობის შეუსრულებლობისა და გადასაზიდი ტვირთის დაცვა-შენახვისათვის განისაზღვრება შესაბამისად დებულებისა და ტვირთზიდვის გეგმის შესრულებისა და გადასაზიდი ტვირთის დაცვა-შენახვისათვის ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციებისა და კლიენტურის ურთიერთ მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ.

13. პასუხისმგებლობა ტვირთზიდვის პირობების დარღვევისათვის (ავტომობილების ზენორმატიული გაცდენა დატვირთვა-გადმოტვირთვის პუნქტებში, აგრეთვე გარაჟში „ტვირთგამგზავნის“ ან „მიმღები პუნქტის“ მიზეზით, ავტომობილების გარბენა, რომლის დროსაც არ შემდგარა ტვირთის მიღება ან ჩაბარება, რაც არ მომხდარა „ავტომეურნეობის“ მიზეზით, ისეთი ტვირთის წარდგენა გადასაზიდად, რომელიც არ ყოფილა გათვალისწინებული შეკვეთით ან დანიშნულია სხვა პუნქტში გასაგზავნად, სასაქონლო-სატრანსპორტო დოკუმენტების გაფორმებაზე უარის თქმა ან მათი არასწორად გაფორმება) განისაზღვრება საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთზიდვის ერთიანი ტარიფებით და მათი შეფარდების წესებით, ამასთან საჯარიმო თანხებს გადაიხდის დამნაშავე მხარე.

## V. ხელშეკრულების ვადა

14. ხელშეკრულება დადებულია ———————— ვადით და ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

15. ხელშეკრულება შედგენილია ———————— ცალად, რომელთაგან თითო ცალი ინახება თვითეულ მხარესთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## VI. მხარეთა მისამართები და საანგარიშსწორებო ანგარიშები

„ავტომეურნეობისა“ _____

საანგარიშსწორებო ანგარიში სახელმწიფო ბანკის _____

„მიმღები პუნქტისა“ _____

საანგარიშსწორებო ანგარიში სახელმწიფო ბანკის _____

„ტვირთგამგზავნისა“ _____

საანგარიშსწორებო ანგარიში სახელმწიფო ბანკის _____

„ავტომეურნეობა“ _____

ხელმოწერა

„მიმღები პუნქტი“ _____

ხელმოწერა

„ტვირთგამგზავნი“ _____

ხელმოწერა

დებულების დანართი № 2

ტრესტ „სოფლმეურნტრანსის“ _____ ავტომეურნეობას

## გ ა ნ ა ც ხ ა დ ი №

196 წ. „ “ _____ № _____ ხელშეკრულებისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის გადაზიდვის შესახებ

_____

(„ტვირთგამგზავნის“ დასახელება)

განაცხადის მიცემის თარიღი _____ დან

_____ მდე გადაზიდვით _____ ტონა

_____ დღე-ღამეში _____ ტონა

(ტვირთის დასახელება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

_____
საიდან უნდა წაიღოს ტვირთი (ზუსტი მისამართი)

_____
სად უნდა მიიტანოს ტვირთი (ზუსტი მისამართი)

საფუთავის გვარეობა _____

ადგილების რაოდენობა _____

პასუხისმგებელი დატვირთვისათვის _____
გვარი, სახელი და მამის სახელი, თანამდებობა

პასუხისმგებელი ტვირთის მიღებისათვის _____
გვარი, სახელი და მამის სახელი, თანამდებობა

შეკვეთა მიცემულია
_____
შეკვეთა გადაცემულია ტელეფონით
გვარი, სახელი და მამის სახელი, თანამდებობა

შეკვეთა მიღებულია _____
გვარი, სახელი და მამის სახელი, თანამდებობა

შეავსებს „ავტომეურნეობის" ბუღალტერი
ღირებულება გადაზიდვისა შეკვეთის მიხედვით
შეტანილია საზღაურის ანგარიშში:

ჩეკით _____

საგადამხდელო დავალებით _____

ბუღალტერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებულების დანართი № 3

დანართი

196 წლის „ “ ——————

ხელშეკრულებისა

## დაზუსტებული მოცულობა

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების და ნედლეულის გადაზიდვისა, რასაც ასრულებს

ავტომეურნეობა ტრესტი „მეურნტრანსისა“

(ტვირთგამგზავნის დასახელება)

(მიმღები პუნქტის დასახელება)

196 წლის —————— თვის

| სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების და ნედლეულის დასახელება | დანიშნულების პუნქტები | ტვირთზიდვის მოცულობა წლის განმავლობაში | | მათ შორის თვეები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ტონა | ათასი კ/მ | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი |

„ავტომეურნეობა“ „ტვირთგამგზავნი“ „მიმღები პუნქტი“

(ხელმოწერა) (ხელმოწერა) (ხელმოწერა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

**96** **„ლიტერატურულ ნაწარმოებთა საავტორო ჰონორარის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 19 ივნისის № 412 დადგენილების 24-ე პუნქტის მე-2 ნაწილის რედაქციის შეცვლის თაობაზე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

„ლიტერატურულ ნაწარმოებთა საავტორო ჰონორარის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 19 ივნისის № 412 დადგენილების 24-ე პუნქტის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პოლიტიკური, სამეცნიერო, საწარმოო-ტექნიკური, სასწავლო და სხვა ლიტერატურის რეცენზირების ანაზღაურება მოხდეს 2-დან 5 მანეთამდე საავტორო ფურცელში, ხოლო 3 ფურცლამდე მოცულობის ნაწარმოებებისა — 20 მანეთამდე აკორდულად“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 26 აგვისტო, № 541.

**97** **საწარმოთა და დაწესებულებათა იმ სიის დამატების შესახებ, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს იმ საწარმოთა და დაწესებულებათა სიის 41-ე პუნქტს, რომელთა სახლებიდან დასაშვებია გამოსახლება სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად მუშა-მოსამსახურეებისა, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილით დათხოვნასთან დაკავშირებით ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ან ბოროტმოქმედების ჩადენისათვის, შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„საქმთავარენერგოს ელექტროქსელების დირექციები და ცენტრალური ელექტრომექანიკური ქარხანა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ბერაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 28 აგვისტო, № 544.

## 98 საქართველოს სსრ გეოლოგიური სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურის მოწესრიგების შესახებ

„სსრ კავშირის გეოლოგიური სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურის მოწესრიგების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 25 ივლისის № 624 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ გარდაიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველო საქართველოს სსრ სახელმწიფო საწარმოო გეოლოგიურ კომიტეტად („საქგეოლკომი“), ამასთან დაუმორჩილდეს იგი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის სახელმწიფო გეოლოგიურ კომიტეტს.

შეტანილ იქნას საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმში წინადადება საქართველოს სსრ სახელმწიფო საწარმოო გეოლოგიური კომიტეტის შექმნის შესახებ.

2. დაეკისროს საქართველოს სსრ სახელმწიფო საწარმოო გეოლოგიურ კომიტეტს:

ა) დაზვერილი მთამადნეულის მარაგის რეზერვის უზრუნველყოფა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის;

ბ) საქართველოს სს რესპუბლიკაში ყველა სახის გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა ძირითად მიმართულებათა განსაზღვრა, მინერალურ ნედლეულზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების გათვალისწინებით;

გ) გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა შეჯამებული წლიური და პერსპექტიული გეგმების პროექტების შედგენა მთლიანად რესპუბლიკაში და მათი წარდგენა დაწესებულ ვადებში საქართველოს

სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის სახელმწიფო გეოლოგიური კომიტეტისათვის;

დ) იმ გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა კოორდინაცია, რომლებსაც ასრულებენ საქართველოს სსრ გეოლოგიური და სხვა ორგანიზაციები;

ე) სახელმწიფო გეოლოგიური კონტროლის განხორციელება ყველა სახის გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოებისადმი საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, მიუხედავად იმისა, თუ ვის ექვემდებარებიან ის ორგანიზაციები, რომლებიც ამ სამუშაოებს ასრულებენ;

ვ) უფრო სრულყოფილი სახის გეოლოგიურ-სადაზვერვო, გეოფიზიკური, ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური, კარტოგრაფიული და სხვა მოწყობილობის ინსტრუმენტებისა და ხელსაწყოების დანერგვა.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გეოლოგიურ სამმართველოს, აპარატის შესანახად დაწესებული ანარიცხების ფარგლებში, ორი კვირის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი საქართველოს სსრ სახელმწიფო საწარმოო გეოლოგიური კომიტეტის სტრუქტურისა და საშტატო განრიგის შესახებ.

4. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1964 წლის 25 ივლისის № 624 დადგენილებით დააწესა, რომ:

ა) სსრ კავშირის სახელმწიფო გეოლოგიური კომიტეტისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საწარმოო გეოლოგიური კომიტეტებისათვის მოწყობილობის შესაძენად და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების საწარმოებლად საჭირო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა გათვალისწინებული იქნება სახალხო-სამეურნეო გეგმით ცალკე სტრიქონად;

ბ) სსრ კავშირის სახელმწიფო გეოლოგიური კომიტეტი შეტანილია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 30 მაისის № 575 დადგენილებით დამტკიცებულ ნუსხაში იმ სამინის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტროებისა და უწყებებისა, რომლებსაც სახალხო-სამეურნეო გეგმით გამოეყოფათ კაპიტალური დაბანდებანი საბინაო, კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისა და ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მშენებლობისათვის;

ბ) მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საწარმოო გეოლოგიური კომიტეტებისათვის მოწყობილობის შესაძენად და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების საწარმოებლად საჭირო კაპიტალურ დაბანდებათა გეგმების პროექტებს შეიმუშავებს სსრ კავშირის სახელმწიფო გეოლოგიური კომიტეტი და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმების შემდეგ წარუდგენს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიას;

დ) მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საწარმოო გეოლოგიური კომიტეტების მუშაკებს შეუნარჩუნდებათ შრომის ანაზღაურებისა და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფის პირობები, რომლებიც ამჟამად მოქმედებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გეოლოგიურ სამმართველოში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 29 აგვისტო, № 548.

## 99 რესპუბლიკის თოჯინების თეატრებში აბონემენტის გარეშე ლია წარმოდგენებზე მოზრდილთათვის ბილეთის ფასის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნას საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს წინადადება და რესპუბლიკის თოჯინების თეატრებში აბონემენტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეშე ღია წარმოდგენებზე ბილეთების ფასი მოზრდილთათვის დამტკიცდეს 50 კაპიკი.

საქართველოს სსრ მინისტრთა-საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 4 სექტემბერი, № 560.

## 100 ინდივიდუალურ მფლობელთა ავტომობილების კოლექტიური გარაჟი-სადგომების სამშენებლო-საექსპლუატაციო კოოპერატივის შექმნის შესახებ

იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს ინდივიდუალურ მფლობელთა მსუბუქი ავტომობილების შენახვა და უზრუნველყოფილ იქნან ისინი გარაჟი-სადგომებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ადგენს:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს შეიქმნას ინდივიდუალურ მფლობელთა ავტომობილების კოლექტიური გარაჟი-სადგომების სამშენებლო-საექსპლუატაციო კოოპერატივები იმ წესისა და პირობების შეფარდებით, რაც დადგენილია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 20 მარტის № 320 დადგენილებით „საბინაო-სამშენებლო და საგარაჟო-სამშენებლო კოოპერაციის შესახებ" (სსრკ დადგენილებათა კრებული, 1959 წ. № 5, მუხ. 47).

აღნიშნული კოოპერატივები ახორციელებენ გარაჟი-სადგომების ექსპლუატაციას კოოპერაციული საკუთრების უფლებებით, საკუთარი სახსრების ხარჯზე, სახელმწიფო დოტაციის მიუღებლად.

საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა უზრუნველყოს 1965 წელს ეკონომიური ტიპიური პროექტების შემუშავება ინდივიდუალურ მფლობელთა ავტომობილების გარაჟი-სადგომებისათვის.

2. გარაჟი-სადგომების პროექტების მიღებას აწარმოებს კომისია იმ წესით, რაც დადგენილია კოოპერაციული სახსრებით აგებული სახლების პროექტების მისაღებად, ამასთან სავალდებულოა კომისიის მუშაობასა და გარაჟის ასაგებად ადგილის არჩევაში მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილეობას იღებდეს საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის წარმომადგენელი.

3. ნება დაერთოს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს გადასცენ საავტომობილო მეურნეობათა (სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების) გამსხვილების შედეგად გათავისუფლებული გარაჟები. აგრეთვე სხვა თავისუფალი სადგომები, რომლებიც გამოსადეგია გარაჟებად გადაკეთებისათვის, სახლმმართველობების გამგეობაში, რომლებმაც ეს გარაჟები ხელშეკრულების საფუძველზე, იჯარით უნდა მისცენ ინდივიდუალურ მფლობელებს ავტომობილების გარაჟი-სადგომების მოსაწყობად, პირველ რიგში ავტომობილების იმ მფლობელებს, რომლებიც ამ სადგომების ტერიტორიაზე მდებარე სახლებში ცხოვრობენ, აგრეთვე სხვა პირებს, რომლებიც ცხოვრობენ ამ სახლმმართველობათა სახლებში გარაჟი-სადგომის მახლობლად.

4. დამტკიცდეს თანდართული სანიმუშო წესდება ინდივიდუალურ მფლობელთა ავტომობილების კოლექტიური გარაჟი-სადგომების სამშენებლო-საექსპლუატაციო კოოპერატივისა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 5 სექტემბერი, № 563.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 5 სექტემბრის № 563
დადგენილებით

## სანიმუშო წესდება

### ინდივიდუალურ მფლობელთა ავტომობილების კოლექტიური გარაჟი-სადგომების სამშენებლო-საექსპლუატაციო კოოპერატივისა

### კოოპერატივის შექმნის წესი

1. ინდივიდუალურ მფლობელთა ავტომობილების კოლექტიური გარაჟი-სადგომების სამშენებლო-საექსპლუატაციო კოოპერა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტივი მოეწყობა საქალაქო, რაიონული, სადაბო საბჭოების აღმასკომებთან ან მრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილების საფუძველზე.

2. კოოპერატივის შესაქმნელად საჭიროა გაერთიანება არა ნაკლებ 10 მოქალაქისა (ქ. თბილისში — არა ნაკლებ 50 მოქალაქისა). გარაჟი-სადგომების სამშენებლო-საექსპლუატაციო კოოპერატივში წევრად შესვლის მსურველ მოქალაქეთა საერთო კრება მიიღებს გადაწყვეტილებას კოოპერატივის შექმნის შესახებ და საკითხს აღძრავს ამის შესახებ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული, სადაბო) საბჭოს აღმასკომის წინაშე.

3. მას შემდეგ რაც მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი გამოიტანს გადაწყვეტილებას კოოპერატივის შექმნის შესახებ. მოიწვევენ კოოპერატივში შესვლის მსურველ მოქალაქეთა საერთო კრებას წესდების მისაღებად. კრების მიერ მიღებული სანიმუშო წესდება რეგისტრაციაში გატარდება მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული, სადაბო) საბჭოს აღმასკომში, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება კოოპერატივის შექმნის შესახებ, ხოლო რაიონული დაყოფის ქალაქებში — მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის მიერ, გარაჟი-სადგომების მშენებლობისა და ექსპლუატაციის ადგილის მიხედვით.

4. კოოპერატივის წესდების რეგისტრაციის შემდეგ კოოპერატივის წევრები მოიწვევენ კრებას კოოპერატივის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ასარჩევად.

## კოოპერატივის მიზანი, უფლებანი და მოვალეობანი

5. ინდივიდუალურ მფლობელთა ავტომობილების კოლექტიური გარაჟი-სადგომების სამშენებლო-საექსპლუატაციო კოოპერატივი შეიქმნება ქალაქში (მუშათა დაბა) იმ მიზნით, რომ დააკმაყოფილოს კოოპერატივის წევრები ინდივიდუალური ავტომანქანების გარაჟი-სადგომებით კოოპერატივის საკუთარი სახსრების ხარჯზე გარაჟი-სადგომების მშენებლობის გზით, აგრეთვე ამ გარაჟი-სადგომების შემდგომი ექსპლუატაციისა და მმართველობისათვის.

6. კოოპერატივის წევრებად შეიძლება იყვნენ სსრ კავშირის მოქალაქენი, რომელთაც შეუსრულდათ 18 წელი, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ მოცემულ ადგილას და ფლობენ ინდივიდუალურ ავტომობილებს, რომლებიც რეგისტრირებულია საქართველოს სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის ადგილობრივ ორგანოებში და აქვთ სანომრე ნიშანი.

სახელმწიფო დაწესებულებებს, საწარმოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს არ შეუძლიათ იყვნენ კოოპერატივის წევრები, აგრეთვე მონაწილეობა მიიღონ თავიანთი სახსრებით კოოპერატივის გარაჟი-სადგომების მშენებლობაში.

7. კოოპერატივი მიიღებს იურიდიული პირის უფლებას იმ დროიდან, რაც მისი წესდება გატარდება რეგისტრაციაში მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომში.

კოოპერატივს აქვს ბეჭედი, რომელზედაც აღნიშნულია მისი სახელწოდება.

8. კოოპერატივის წევრთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს ავტომობილების ბოქსის ან სადგომი ადგილების რაოდენობას, რომლებსაც კოოპერატივი აგებს მშენებლობის გეგმის მიხედვით.

9. კოოპერატივი ახორციელებს აგებული გარაჟი-სადგომების ექსპლუატაციას კოოპერაციული საკუთრების უფლებით და კოოპერატივის საკუთარი სახსრების ხარჯზე, სახელმწიფო დოტაციის მიუღებლად.

10. კოოპერატივი უფლებამოსილია:

ა) მიიღოს უვადო სარგებლობაში მიწის ნაკვეთები გარაჟი-სადგომების ასაგებად;

ბ) განახორციელოს მშენებლობა საიჯარო წესით, საკუთარი სახსრების ხარჯზე, რომელიც კოოპერატივმა ბანკში შეიტანა მშენებლობის სრული ღირებულების ოდენობით;

გ) დადოს მოიჯარე ორგანიზაციასთან ხელშეკრულება გარაჟი-სადგომების მშენებლობისათვის და განახორციელოს ანგარიშსწორება შესრულებული სამუშაოებისათვის, აგრეთვე დადოს გარაჟი-სადგომების მშენებლობასა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებანი.

11. კოოპერატივი გარაჟი-სადგომების მშენებლობას ახორციელებს ტიპიური პროექტებით და, როგორც გამონაკლისი, ინდივიდუალური პროექტებით, რომლებიც დამტკიცებულია დადგენილი წესით. ამასთან სავალდებულოა ტიპიური კონსტრუქციული ელემენტების გამოყენება.

12. გარაჟი-სადგომების მშენებლობის განხორციელება კოოპერატივს შეუძლია მას შემდეგ, რაც დაწესებული წესით დამტკიცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულია პროექტები და მიღებულია ნებართვა მშენებლობის შესახებ. მშენებლობის მოცულობა, დაწყება და დამთავრება აღინიშნება მიწის ნაკვეთით უვადო სარგებლობის აქტში.

13. კოოპერატივის მიერ აგებული გარაჟის ნაგებობანი ეკუთვნის მას კოოპერატიული საკუთრების უფლებებით და არ შეიძლება გაიყიდოს ან გადაეცეს როგორც მთლიანად, ისე ნაწილობრივ არც ორგანიზაციებს, არც ცალკეულ პირებს, გარდა კოოპერატივის ლიკვიდაციის დროს განხორციელებული გადაცემისა.

14. კოოპერატივი პასუხს აგებს თავის ვალდებულებებზე ყველა მისი კუთვნილი ქონებით.

## კოოპერატივის სახსრები

15. კოოპერატივის სახსრები შედგება:

ა) კოოპერატივის წევრთა შესასვლელი შენატანისაგან;

ბ) საპაიო შენატანისაგან;

გ) გარაჟი-სადგომების შესანახი და საექსპლუატაციო შენატანისაგან;

დ) სხვა შემოსულობათაგან.

## კოოპერატივის წევრთა უფლებანი და მოვალეობანი

16. კოოპერატივის თვითეულ წევრს მიეცემა მუდმივ სარგებლობაში ბოქსი ან სადგომი ადგილი კუთვნილი ავტომობილისათვის, მისი საპაიო შენატანისა და იმ ფართობის ნორმის შესაბამისად, რაც დაწესებულია მოცემული მარკის ავტომობილისათვის.

17. კოოპერატივის წევრები ვალდებული არიან მშენებლობის დაწყებამდე შეიტანონ ფულადი სახსრები მთლიანად პაის ოდენობით. კოოპერატივის თვითეული წევრის საპაიო შენატანის ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს ბოქსის ან ერთი ავტომობილის სადგომი ადგილის ღირებულებას.

იმ შემთხვევაში, თუ კოოპერატივის წევრი და მისი ოჯახის წევრები პირადად მონაწილეობენ გარაჟი-სადგომის მშენებლობაში, მათი შრომითი დანახარჯის ოდენობას და ამ შრომითი დანახარჯის ღირებულების საპაიო შესატან თანხაში ჩათვლის წესს განსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღვრავს კოოპერატივის გამგეობა საიჯარო-სამშენებლო ორგანიზაციასთან შეთანხმებით.

18. გარაჟი-სადგომების სამშენებლო-საექსპლუატაციო კოოპერატივის წევრს უფლება არა აქვს ერთდროულად იყოს მეორე გარაჟი-სადგომების სამშენებლო-საექსპლუატაციო კოოპერატივის წევრი.

19. კოოპერატივის წევრს უფლება აქვს:

ა) ისარგებლოს ბოქსით ან მისთვის განკუთვნილი სადგომი ადგილით კოოპერატივის არსებობის მთელი ხნის განმავლობაში.

ბ) ნებაყოფლობით, თავისი განცხადებით, გავიდეს კოოპერატივიდან მისი არსებობის ყოველ დროს, როგორც გარაჟი-სადგომის მშენებლობის დაწყებამდე და მშენებლობის დროს, ისე მისი დამთავრების შემდეგ.

გ) კოოპერატივის წევრთა საერთო კრების თანხმობით გადასცეს თავისი პაი და მისთვის გადაცემული ბოქსით ან სადგომი ადგილით სარგებლობის უფლება მშობლებს, ქმარს (ცოლს) ან შვილებს, თუ ეს პირნი ფლობენ საკუთარ ავტომანქანას, რომელიც დაწესებული წესით რეგისტრირებულია მოცემულ ქალაქში (მუშათა დაბაში).

20. კოოპერატივის წევრი შეიძლება გაირიცხოს კოოპერატივის შემადგენლობიდან იმ შემთხვევაში, თუ არ დაემორჩილება წესდებას, არ შეასრულებს საერთო კრების მიერ დაწესებულ ვალდებულებებს, დაანგრევს ან გააფუჭებს გარაჟს.

კოოპერატივიდან გარიცხული წევრი ჰკარგავს გარაჟ-სადგომით სარგებლობის უფლებას.

21. კოოპერატივიდან გასულ წევრს უბრუნდება მის მიერ შეტანილი ფულადი სახსრები პაის სახით, ძირითადი ფონდების გაცვეთის გათვალისწინებით, ხოლო გათავისუფლებული გარაჟ-სადგომი საერთო კრების გადაწყვეტილებით, მიეცემა კოოპერატივის შემადგენლობაში მიღებულ მეორე პირს.

კოოპერატივის ახლად მიღებული წევრის საპაიო შენატანის ოდენობა არ შეიძლება იყოს გარაჟი-სადგომის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები.

კოოპერიტივიდან გასულ წევრს უბრუნდება მისი პაი არა უგვიანეს სამი თვისა საერთო კრების მიერ საოპერაციო წლის წლიური ანგარიშის დამტკიცების შემდეგ, რომლის განმავლობაში მეპაიე გასული იყო კოოპერატივის შემადგენლობიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

22. კოოპერატივის გარდაცვლილი წევრის პაი გადადის მის მემკვიდრეებზე. მემკვიდრეებს — გარდაცვლილის ოჯახის წევრებს უპირატესი უფლება აქვთ გარაჟის სადგომით შემდგომი სარგებლობისა, იმ პირობით, თუ კოოპერატივის წევრად გახდება ოჯახის ერთ-ერთი წევრი, რომელიც ფლობს დადგენილი წესით რეგისტრირებულ ავტომობილს.

მემკვიდრეებს, რომელთაც უარი განაცხადეს გარაჟით შემდგომ სარგებლობაზე, მიეცემათ მემკვიდრეობით მიღებული პაის ღირებულება ან მისი ნაწილი, ძირითადი ფონდების გაცვეთის დაქვითვით.

23. იმ შემთხვევაში, თუ კოოპერატივის წევრმა გაყიდა საკუთარი ავტომანქანა ან მას ჩამოერთვა ამ ავტომანქანის ფლობის უფლება ერთ წელზე მეტი ვადით, ან მან ავტომანქანა აჩუქა არათავის ოჯახის წევრს, ან ოჯახის წევრს, რომლებიც ავტომანქანის გამჩუქებელთან ერთად არ ცხოვრობენ ერთ ქალაქში, გარაჟი (ბოქსი) რჩება კოოპერატივის წევრის მფლობელობაში ერთი წლის მანძილზე დღიდან მისი გაყიდვისა, მფლობელობის უფლების ჩამორთმევისა ან გასაჩუქრებისა.

აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ გარაჟი (ბოქსი) გადადის კოოპერატივის განკარგულებაში, ხოლო კოოპერატივიდან გასულ წევრს დაუბრუნდება მის მიერ შეტანილი პაი, გაცვეთის დაქვითვით, და გათავისუფლებული გარაჟის სადგომი საერთო კრების გადაწყვეტილებით მიეცემა კოოპერატივის წევრად მიღებულ მეორე პირს.

24. კოოპერატივიდან გასული წევრის ნაცვლად კოოპერატივის წევრად მიღებული პირი პასუხს აგებს თავის ვალდებულებებზე კოოპერატივის წინაშე.

25. კოოპერატივის წევრი ვალდებულია გაიღოს გარაჟის მმართველობისა და ექსპლუატაციის ხარჯები იმ ოდენობით, რაც დაწესებულია კოოპერატივის წევრთა საერთო კრების მიერ.

### კოოპერატივის მმართველობის ორგანოები

26. კოოპერატივის მმართველობის ორგანოებია: კოოპერატივის წევრთა საერთო კრება და გამგეობა.

27. საერთო კრება არის კოოპერატივის უმაღლესი ორგანო და გადაწყვეტს შემდეგ საკითხებს:

ა) კოოპერატივის წევრთა მიღება და გარიცხვა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მშენებლობის გეგმისა და ხარჯთაღრიცხვების, აგრეთვე წლიური სამეურნეო-საფინანსო გეგმის და მისი შესრულების ანგარიშის დამტკიცება;

გ) ბოქსების ან ავტომობილის სადგომი ადგილების განაწილება კოოპერატივის წევრებს შორის, აგრეთვე ნებართვა, რომ კოოპერატივის წევრმა თავისი პაი გადასცეს თავისი ოჯახის წევრებს, რომლებსაც აქვთ დადგენილი წესით რეგისტრირებული საკუთარი ავტომობილები;

დ) შესასვლელი და საპაიო შესატანების, აგრეთვე გარაჟი-სადგომების შესანახი და საექსპლუატაციო შესატანების ოდენობის დადგენა;

ე) კოოპერატივის წევრთა მონაწილეობის ოდენობის დადგენა გარაჟის მეურნეობის ხარჯებში;

ვ) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევა;

ზ) გამგეობასა და სარევიზიო კომისიის მოქმედებაზე შემოსული საჩივრების განხილვა;

თ) კოოპერატივის ლიკვიდაცია.

28. გამგეობა საერთო კრებას მოიწვევს წელიწადში ორჯერ მაინც. საგანგებო საერთო კრებას გამგეობა მოიწვევს ექვსი დღის ვადაში კოოპერატივის წევრთა არანაკლებ ერთიმესამედის მოთხოვნისა, აგრეთვე სარევიზიო კომისიის ან მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული, სადაბო) საბჭოს აღმასკომის მოთხოვნით, რომელმაც კოოპერატივის წესდება რეგისტრაციაში გაატარა;

29. საერთო კრება შედგება მაშინ, როცა მას დაესწრება კოოპერატივის წევრთა ან კოოპერატივის წევრთა ნდობით აღჭურვილ პირთა არანაკლებ ორიმესამედისა;.

გადაწყვეტილებას ღებულობს საერთო კრება კოოპერატივის დამსწრე წევრთა და ნდობით აღჭურვილ პირთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

საერთო კრების გადაწყვეტილება საპაიო შესატანის, გარაჟი-სადგომების შესანახი და საექსპლუატაციო შესატანის ოდენობის, კოოპერატივიდან გარიცხვისა და კოოპერატივის ლიკვიდაციის შესახებ მიიღება კრების მონაწილე კოოპერატივის წევრთა ხმების ორიმესამედის უმრავლესობით.

30. კოოპერატივის გამგეობას ირჩევს საერთო კრება სულ მცირე სამი წევრის რაოდენობით ორი წლის ვადით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობა თავის შემადგენლობიდან აირჩევს თავმჯდომარეს, მის მოადგილეს (მოადგილეებს).

31. გამგეობა არის კოოპერატივის აღმასრულებელი ორგანო, საერთო კრების ანგარიშვალდებული. გამგეობის მოვალეობაში შედის:

ა) საერთო კრების მიერ დადგენილი შესასვლელი და საპაიო შესატანების მიღება კოოპერატივის წევრებისაგან;

ბ) გეგმების, ხარჯთაღრიცხვებისა და ანგარიშების შედგენა;

გ) გარაჟის მეურნეობის მართვა;

დ) მუშა-მოსამსახურეთა დაქირავება გარაჟის მეურნეობის მომსახურებისათვის და მათი დათხოვნა;

ე) კოოპერატივის სახელით ხელშეკრულებათა დადება და კოოპერატივის ამოცანების შესაბამისი სხვა გარიგების შესრულება.

ვ) კოოპერატივის წარმომადგენლობა ყველა სასამართლო და ადმინისტრაციულ დაწესებულებაში.

ზ) კოოპერატივის საქმისწარმოება და ანგარიშსწორება.

თ) ამ წესდებიდან გამომდინარე სხვა ვალდებულებათა შესრულება.

32. კოოპერატივის გამგეობას უფლება აქვს განაგოს კოოპერატივის ნაღდი სახსრები, რომელიც ინახება ბანკში მიმდინარე ანგარიშზე, კოოპერატივის წევრთა საერთო კრების მიერ დამტკიცებული საფინანსო გეგმის შესაბამისად.

33. სარევიზიო კომისიას ირჩევს კოოპერატივის წევრთა საერთო კრება სამი წევრის შემადგენლობით ორი წლის ვადით და არის ორგანო, რომელიც კონტროლს უწევს და რევიზიას უკეთებს გამგეობის საქმიანობას.

სარევიზიო კომისია თავისი შემადგენლობიდან აირჩევს თავმჯდომარეს.

34. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს იყვნენ ცოლ-ქმარი, მშობლები, შვილები, შვილიშვილები, ღვიძლი ძმები; დები და მათი ცოლ-ქმრები.

35. კოოპერატივი თავის საქმიანობას ახორციელებს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს იმ აღმასკომის მეთვალყურეობითა და კონტროლით, რომელმაც გაატარა მისი წესდება რეგისტრაციაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

36. სამოქალაქო-უფლებრივი დავა კოოპერატივსა და მის წევრებს შორის წყდება სასამართლო წესით.

## კოოპერატივის საქმიანობის შეწყვეტა და მისი ლიკვიდაცია

37. ინდივიდუალურ მფლობელთა ავტომობილების კოლექტიური გარაჟი-სადგომების სამშენებლო-საექსპლუატაციო კოოპერატივის საქმიანობას, მისი საქმიანობისა და ქონების ლიკვიდაციით, შეწყვეტს კოოპერატივის წევრთა საერთო კრება იმ შემთხვევაში, როცა სასამართლოს დადგენილებით კოოპერატივი აცდენილია წესდებაში აღნიშნულ მიზნებს.

კოოპერატივის საქმიანობა შეწყდება აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა კოოპერატივის წევრთა საერთო კრება საჭიროდ ჩათვლის კოოპერატივის ლიკვიდაციას. საერთო კრების გადაწყვეტილებას კოოპერატივის ლიკვიდაციის შესახებ ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული, სადაბო) საბჭოს აღმასკომი.

38. კოოპერატივის საქმეების ლიკვიდაცია ხდება შესაბამისად კანონებისა კოოპერაციული ორგანოების საქმიანობის შეწყვეტის წესის შესახებ, მშრომელთა დეპუტატების იმ ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის წარმომადგენლის სავალდებულო მონაწილეობით, რომელმაც რეგისტრაციაში გაატარა კოოპერატივის წესდება.

39. კოოპერატივის ქონება, რაც დარჩა კოოპერატივისადმი წარდგენილი ყველა პრეტენზიის დაკმაყოფილების შემდეგ, მის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისა და კოოპერატივის წევრებისათვის საპაიო შენატანის გადახდის შემდეგ, აგრეთვე კოოპერატივის ყველა საქმე და საბუთი გადაეცემა მშრომელთა დეპუტატების იმ ადგილობრივი საბჭოს აღმასკომს, რომელმაც რეგისტრაციაში გატარა კოოპერატივის წესდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 101 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველოს „საქმთავარენერგოს" შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 7 სექტემბრის № 564
დადგენილებით

## დებულება

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველოს „საქმთავარენერგოს" შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველო არის საკავშირო-რესპუბლიკური ორგანო და თავის საქმიანობაში ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტს.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველოს ძირითადი ამოცანებია:

ა) უზრუნველყოს სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება ელექტრო და თბოენერგიაზე, შემდგომ განავითაროს საქართველოს სსრ ენერგეტიკა და ელექტროფიკაცია და განახორციელოს ტექნიკური პოლიტიკა რესპუბლიკის მთლიანი ელექტროფიკაციის განხორციელების დარგში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) განახორციელოს საერთო ტექნიკური და ორგანიზაციული ხელმძღვანელობა საქართველოს სსრ ენერგეტიკული სისტემის განმტკიცებისადმი;

გ) გაუწიოს ორგანიზაციულ-ტექნიკური ხელმძღვანელობა მოქმედ ელექტროსადგურებს, ელექტრო და თბოქსელებს, რათა უფრო რაციონალურად იქნას გამოყენებული რესპუბლიკის ენერგეტიკული სიმძლავრეები და მიღწეულ იქნას ენერგეტიკული მეურნეობის ექსპლუატაციის მაღალი დონე;

დ) შეასრულოს ელექტრო და თბოენერგიის წარმოების, მოქმედი ელექტროსადგურებისა და ქსელების მოწყობილობათა მარაგნაწილებისა და დეტალების გამოშვების, აგრეთვე ზოგიერთი სახეობის სამშენებლო კონსტრუქციების დამზადების დამტკიცებული გეგმები;

ე) შეასრულოს მაღალი ძაბვის ელექტროგადაცემის ხაზების, მცირე ელექტროსადგურებისა და ქვესადგურების, მარაგნაწილებისა და ენერგეტიკული მოწყობილობის ინდუსტრიული რემონტის ქარხნების, ელექტროსადგურებისა და ქსელების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის დამტკიცებული გეგმები, აგრეთვე ენერგეტიკული ობიექტების დაპროექტების, რეკონსტრუქციისა და გაფართოების გეგმა და საქმთავარენერგოს სისტემაში ცალკეულ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გეგმა.

განახორციელოს გენერალური მოიჯარის ფუნქციები სასოფლო ელექტროსადგურების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო და სხვა დანიშნულების ელექტროძალოვან და გასანათებელ დანადგართა მშენებლობის, გაფართოებისა და რეკონსტრუქციის დარგში, ამასთან უზრუნველყოს ეს სამუშაოები მასალებითა და მოწყობილობით საქმთავარენერგოს ფონდების ხარჯზე;

ვ) ტექნიკურად სრულყოს ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობა, რომლებსაც სამეურნეო წესით ახორციელებენ, გააუმჯობესოს ამ სამუშაოთა ხარისხი, შეამციროს მშენებლობათა ვადები და ღირებულება, ეკონომიურად ხარჯოს მატერიალური რესურსები, აგრეთვე გააუმჯობესოს საქმთავარენერგოს საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობის სხვა მაჩვენებლები;

ზ) შეიმუშაოს მოქმედი ელექტროსადგურების, ქვესადგურების, ელექტროგადაცემის ხაზებისა და ელექტროდანადგართა კაპიტალური და მიმდინარე რემონტის, რეკონსტრუქციისა და გაფართოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) განახორციელოს დამკვეთის ფუნქციები ელექტროსადგურების (გარდა იმ დიდი ჰიდროელექტროსადგურებისა, რომლებიც შენდება სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის სატიტულო სიებით), მაღალი ძაბვის ქსელებისა და ქვესადგურების მშენებლობის დარგში გარდა შესაბამისი დარგების სატიტულო სიების მიხედვით შენდებადი სამრეწველო და სხვა ობიექტების ელექტროგადაცემის ხაზებისა და ქვესადგურებისა.

განახორციელოს დამკვეთის ფუნქციები სახელმწიფო რაიონული და სარაიონთაშორისო ელექტროსადგურების, ელექტროგადაცემის ხაზებისა და სატრანსფორმატორო ქვესადგურების დაპროექტების, მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და გაფართოების დარგში;

ი) განახორციელოს სახელმწიფო კონტროლი სახალხო მეურნეობაში ელექტრო და თბოენერგიის რაციონალურად ხარჯვისადმი, სამრეწველო საწარმოებსა, მშენებლობებსა და ტრანსპორტზე ხვედრითი ხარჯვის ნორმების დაცვისა და მათი სწორად გამოყენებისადმი, აგრეთვე ზედამხედველობა გაუწიოს ყველა მომხმარებლის ენერგეტიკულ დანადგართა ტექნიკურ მდგომარეობას, მათი საუწყებო დაქვემდებარების მიუხედავად;

კ) დააკომპლექტოს სამრეწველო ობიექტები და სამშენებლო ორგანიზაციები კვალიფიციურ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა მუდმივი კადრებით, რათა წარმატებით გადაწყვიტოს ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის საკითხები.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველო, მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) შეადგენს ენერგეტიკის, წარმოების განვითარების ერთიან პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს, ელექტრო და თბოენერგეტიკის ბალანსებსა და განაწილების გეგმებს; კაპიტალური მშენებლობის, შრომისა და თვითღირებულების, საპროექტო-საძიებო და საკონსტრუქტორო სამუშაოების, ახალი ტექნიკის დანერგვის, მოწყობილობათა კაპიტალური რემონტის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმებს და შემოსავალ-გასავლის ბალანსებს მთლიანად საქმთავარენერგოს მთელ სისტემაში; წარადგენს გეგმებს დადგენილი წესით დასამტკიცებლად და განახორციელებს ღონისძიებებს ამ გეგმების შესასრულებლად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) განიხილავს, შეათანხმებს და დაამტკიცებს დადგენილი წესით ელექტროსადგურების, ელექტრო და თბოქსელებისა და სხვა ენერგო ობიექტების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და გაფართოების საპროექტო დავალებებს შეჯამებული სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშებებით;

გ) მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკის ენერგეტიკის განვითარების ტექნიკურ-ეკონომიური დასაბუთების შემუშავებაში, გამომდინარე იმ ძირითადი ამოცანებიდან, რაც დასახულია ელექტრო და თბოენერგიით საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის სრულად უზრუნველყოფისათვის;

დ) განახორციელებს, ექსპლუატაციისა და უსაფრთხობის, მოქმედი წესების შესაბამისად, როგორც საკუთარი ელსადგურების, თბო და ელექტრო ქსელების, ელექტროქვესადგურების და სხვა ენერგეტიკული დანადგარების, ისე იჯარით აღებული საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგურების ტექნიკურ ექსპლუატაციას.

განახორციელებს, კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებთან და საწარმოებთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე, ელექტროდანადგართა რემონტს და ორგანიზაციულ-ტექნიკურ დახმარებას გაუწევს მათ კუთვნილი ელექტროსადგურების, ქსელებისა და შიგაელექტრო გაყვანილობათა ექსპლუატაციაში. ამასთან ამ მიზნებისათვის გამოიყენებს საქმთავარენერგოსათვის გამოყოფილ მასალებს, მარაგნაწილებსა და მოწყობილობას;

ე) ხელმძღვანელობას გაუწევს სახალხო მეურნეობის მომარაგებას ელექტრო და თბოენერგიით, აგრეთვე მის გამგებლობაში არსებული სამშენებლო-სამონტაჟო, საექსპლუატაციო, საპროექტო, სარემონტო და სხვა ორგანიზაციებითა და საწარმოებით;

ვ) უზრუნველყოფს საწარმოო ბაზის განვითარებას მოქმედი ელსადგურების ქსელების მოწყობილობისათვის საჭირო მარაგნაწილებისა და დეტალების დასამზადებლად, აგრეთვე ქვესადგურებისა და ქსელებისათვის საჭირო ზოგიერთი სახეობის რკინაბეტონის კონსტრუქციების გამოსაშვებად;

ზ) განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია საქვეუწყებო სამშენებლო ორგანიზაციების რიტმული მუშაობის უზრუნველყოფა დამატებითი სიმძლავრეებისა და რესურსების გამოვლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნება და გამოყენება, შრომის ნაყოფიერების ამაღლება, მომჭირნეობის რეჟიმის უზრუნველყოფა, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება და საქმთავარენერგოს საწარმოებისა და ორგანიზაციების რენტაბელობის ამაღლება;

თ) უზრუნველყოფს საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის საშუალებათა დანერგვას, ახალი ტექნიკის დანერგვასა და ათვისებას;

ი) განახორციელებს მოქმედი და შენდებადი ელექტროსადგურებისა და ქსელების მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას;

კ) ხელმძღვანელობას გაუწევს საქმთავარენერგოს საქვეუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ საიჯარო და სხვა სამეურნეო ხელშეკრულებათა დადებას და კონტროლს გაუწევს მათს შესრულებას;

ლ) ჩაატარებს ელექტროსადგურებისა და ქსელების მოწყობილობათა კაპიტალურ და მიმდინარე რემონტს, აგრეთვე განახორციელებს ელექტროსადგურებისა და ქსელების მოქმედ ენერგომოწყობილობათა მოდერნიზაციას და რეკონსტრუქციას;

მ) ხელმძღვანელობას გაუწევს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საქმის განვითარებას საქმთავარენერგოს სისტემაში, განახორციელებს გამოგონებათა სარგებლიანობის ექსპერტიზას, პროფკავშირული ორგანიზაციების ფართო მონაწილეობით, ყოველმხრივ დახმარებას გაუწევს გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს მათს მუშაობაში, უზრუნველყოფს გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვას წარმოებასა და მშენებლობაში, აგრეთვე მოაწყობს გამოცდილების გაზიარებას გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის დარგში;

ნ) ხელმძღვანელობას გაუწევს, პროფკავშირული ორგანიზაციების წინადადებათა გათვალისწინებით, მუშაობას შრომის ორგანიზაციის დარგში, განახორციელებს კონტროლს შრომის ხელფასის ფონდების სწორად გამოყენებისადმი, განახორციელებს ღონისძიებებს ადმინისტრაციულ-მმართველობის აპარატის სრულყოფისა და გაიაფებისათვის, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს შრომის დისციპლინის განმტკიცებისა, შრომის დაცვისა და ტექნიკის უსაფრთხობის გაუმჯობესებისათვის, განახორციელებს კონტროლს შრომის კანონმდებლობის დაცვისადმი, კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექტიურ ხელშეკრულებათა დროულად დადებისა და მათ
რულებისადმი;

ო) დადგენილი წესით შექმნის, გარდაქმნის და გაუქმებს საქმთა-
ვარენერგოს საწარმოებსა და სხვა სამეურნეო ორგანიზაციებს, აგ-
რეთვე შენდებადი საწარმოების დირექციებს;

პ) შეიმუშავებს საქმთავარენერგოს სისტემის ობიექტების ინჟი-
ნერ-ტექნიკურ მუშაკთა და მუშათა კადრების მომზადებისა და უზ-
რუნველყოფის გეგმებს, განახორციელებს კადრების შერჩევას და
განაწილებას საქმთავარენერგოს აპარატსა და საწარმოებში, მოაწ-
ყობს მუშაობას საქმთავარენერგოს მუშებისა და ინჟინერ-ტექნი-
კურ მუშაკთა მომზადებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებ-
ლად, უზრუნველყოფს პროფკავშირული ორგანიზაციების მონაწი-
ლეობით მუშაკთა საცხოვრებელი პირობებისა და კულტურულ-სა-
ყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას;

ჟ) პროფკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობით მოაწყობს
საქმთავარენერგოს საწარმოებსა და ორგანიზაციებში სოციალის-
ტურ შეჯიბრებას და უზრუნველყოფს წარმოებისა და მშენებლო-
ბის მოწინავეთა გამოცდილების ფართო გავრცელებას;

რ) ხელმძღვანელობას გაუწევს საქმთავარენერგოს საწარმოების,
ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საფინანსო-სამეურნეო სა-
ქმიანობას და დადგენილი წესით დააფინანსებს მათ;

ს) ხელმძღვანელობას გაუწევს საქმთავარენერგოს საწარმოებში,
დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში საბუღალტრო და სტატის-
ტიკური აღრიცხვა-ანგარიშგების დაყენებას და განახორციელებს
კონტროლს მათი მდგომარეობისადმი, შეადგენს შეჯამებულ და პე-
რიოდულ ანგარიშებსა და ბალანსებს საქმთავარენერგოს საწარმოო
და სამეურნეო საქმიანობის ყველა სახეობის მიხედვით, განახორ-
ციელებს საფინანსო კონტროლს, ჩაატარებს საქმთავარენერგოს სა-
წარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სამეურნეო-
საფინანსო საქმიანობის დოკუმენტურ რევიზიებს;

ტ) განახორციელებს ღონისძიებებს საქმთავარენერგოს საწარ-
მოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში სოციალისტური
საკუთრების დასაცავად;

უ) გამოსცემს ინსტრუქციებს ენერგეტიკული მეურნეობისა და
მშენებლობის ტექნიკის, ეკონომიკისა და ორგანიზაციის საკითხებზე.

4. საქმთავარენერგოსთან შეიქმნება კოლეგია მთავარი სამმარ-
თველოს უფროსის (თავმჯდომარე), მისი მოადგილეებისა, მთავარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამმართველოს და მისდამი დაქვემდებარებული დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკების შემადგენლობით.

კოლეგიის წევრთა რაოდენობას და მის შემადგენლობას განსაზღვრავს და დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსის წარდგენით.

კოლეგია თავის სხდომებზე, რომლებიც რეგულარულად იმართება, განიხილავს პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევის და განაწილების საკითხებს, უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა, ბრძანებებისა და ინსტრუქციების პროექტებს, საქმთავარენერგოს სტრუქტურული ქვეგანაყოფების, აგრეთვე მისი სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობის ანგარიშებს.

კოლეგიის გადაწყვეტილება ხორციელდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსის ბრძანებით.

მთავარი სამმართველოს უფროსსა და კოლეგიას შორის უთანხმოების წამოჭრის შემთხვევაში მთავარი სამმართველოს უფროსი ცხოვრებაში გაატარებს თავის გადაწყვეტილებას და აცნობებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზემოაღნიშნულ უთანხმოებათა შესახებ. კოლეგიის წევრებს, თავის მხრივ, შეუძლიათ აპელაციით მიმართონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარ სამმართველოს სათავეში უდგას სამმართველოს უფროსი, რომელიც:

ა) ხელმძღვანელობს მთავარი სამმართველოს და მისდამი დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მთელ საქმიანობას;

ბ) მთავარი სამმართველოს კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა, აგრეთვე სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის ბრძანებებისა და ინსტრუქციების საფუძველზე და მათს შესასრულებლად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) შეაჩერებს და გააუქმებს საქმთავარენერგოს საწარმოების. დაწესებულებებისა და ორგანიზაციების უფროსთა ბრძანებებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებსა და განკარგულებებს, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველოს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს;

დ) დადგენილი წესით დანიშნავს და გაათავისუფლებს მთავარი სამმართველოს და მისდამი დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკებს თანამდებობათა დაწესებული ნომენკლატურის შესაბამისად;

ე) დაამტკიცებს დებულებებს მთავარი სამმართველოს განყოფილებების, აგრეთვე მთავარი სამმართველოსადმი დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების დებულებებს.

6. ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და წარმოებისა და მშენებლობის ნოვატორთა მოწინავე გამოცდილების რაც შეიძლება უკეთ გამოყენების მიზნით, საქმთავარენერგო მოაწყობს დადგენილი წესით აქტივის თითბირებს, რომლებზედაც მოისმენენ და განიხილავენ მოხსენებებს პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა შესახებ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებების შესახებ, აგრეთვე განიხილავენ საქმთავარენერგოს და მისი საწარმოების საწარმოო-საფინანსო საქმიანობის საკითხებს.

7. საქმთავარენერგოს სტრუქტურასა და ცენტრალური აპარატის შტატებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

8. საქმთავარენერგოს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და თავისი დასახელება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 102 ნისიად გაყიდული ხანგრძლივი სარგებლობის საქონლისათვის ანგარიშსწორების მოწესრიგების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ მუშა-მოსამსახურეთა ძიერ ნისიად ხაყიდი საქონლის ღირებულების დავალიანების დროულად გადახდისა და ანგარიშსწორების საქმეს სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს, რის შედეგად იზრდება ვადაგასული დავალიანება, რაც სახელმწიფოს ზარალს აყენებს.

საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ზოგიერთი ხელმძღვანელი და მთავარი (უფროსი) ბუღალტრები არ იჩენენ საკმაო პასუხისმგებლობას ანგარიშსწორების მდგომარეობისათვის და არ უზრუნველყოფენ, რომ მუშა-მოსამსახურეებს ხელფასიდან დროულად დაეჭვითოთ მორიგი გადასახდელი თანხა საგადამხდელო დავალება-ვალდებულების მიხედვით ნისიად ნაყიდი საქონლისათვის და გადაურიცხონ ეს თანხები შესაბამის სავაჭრო საწარმოებს, აგრეთვე გახაგრძობენ ნისიად საქონლის შესაძენად ცნობების განმეორებით გაცემას ისე, რომ არ ითვალისწინებენ ადრეგაცემული ცნობებით ნაყიდი საქონლისათვის სრული ანგარიშსწორების მდგომარეობას.

ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოების ხელმძღვანელები, მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში ჯეროვან კონტროლს არ უწევენ ცნობების გაცემისა და აღრიცხვის წესს, აგრეთვე იმას, თუ რა მდგომარეობაშია ანგარიშსწორება სავაჭრო საწარმოებთან ნისიად გაყიდული საქონლისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელები და მთავარი (უფროსი) ბუღალტრები პერსონალურად აგებენ პასუხს ნისიად საქონლის ყიდვის უფლების შესახებ ცნობების გაცემის, მათი აღრიცხვის დაწესებული წესის დარღვევისათვის, საგადამხდელო დავალება-ვალდებულების მიხედვით ნისიად ნაყიდი საქონლისათვის მორიგი გადასახდელი თანხის მუშა-მოსამსახურეთა ხელფასიდან არადროულად დაქვითვისათვის და ამ თანხების სათანადო სავაჭრო ორგანიზაციებისათვის (საწარმოებისათვის) არ გადარიცხვისათვის, აგრეთვე იმისათვის, თუ დროულად არ აცნობებენ სავაჭრო ორგანიზაციებს (საწარმოებს) იმ პირთა დათხოვნის ან სხვა საწარმოში (ორგანიზაციებში, დაწესებულებებში) გადაყვანის შესახებ, რომელთაც ნისიად შეძენილი საქონლის ღირებულების დავალიანება აქვთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ნება დაერთოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტროებს, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის, ქუთაისისა და რუსთავის საქალაქო საბჭოების აღმასკომების ვაჭრობის განყოფილებებს, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან წინასწარი შეთანხმების შემდეგ შეიტანონ ცვლილებები და დამატებანი ნისიად გასაყიდი საქონლის ნუსხაში, ადგილობრივი პირობებისა და საქონლის რესურსების გათვალისწინებით.

3. ნება დაერთოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს 9 თვემდე განვადებით საქონლის ნისიად გაცემის დროს მყიდველებს გადაახდევინონ ფაქტიურად გადაცემული კრედიტის თანხის $1^1/_2$ პროცენტი სავაჭრო ორგანიზაციების (საწარმოების) სასარგებლოდ.

4. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს:

ა) ერთი თვის ვადაში შეამოწმონ მუშა-მოსამსახურეების მიერ ნისიად შეძენილი საქონლის ღირებულების ანგარიშსწორების მდგომარეობა დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში, მიიღონ საჭირო ზომები არსებულ ნაკლოვანებათა და ვადაგასულ დავალიანებათა აღმოსაფხვრელად;

ბ) დააწესონ კონტროლი აღრიცხვის და ცნობების გაცემის სწორად დაყენებისადმი და ნისიად გაყიდული საქონლისათვის დროული ანგარიშსწორებისადმი. მკაცრად დასაჯონ დადგენილი წესის დამრღვევი პირები.

5. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიასთან შეთანხმებული წინადადებანი, რათა ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებები და დამატებები შეტანილ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 29 აპრილის № 252 დადგენილებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში „სახელმწიფო ვაჭრობის სისტემის სავაჭრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოების მიერ მუშა-მოსამსახურეებისათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად მიყიდვის წესის შესახებ".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 9 სექტემბერი № 573.

## 103 საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოებისათვის დახმარების გაწევის ზომების შესახებ

იმ მიზნით, რომ დახმარება გაეწიოს საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანიზაციებს მუშაობაში და გადიდდეს მათი საკუთარი შემოსავალი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 24 ივნისის № 23 საოქმო გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი საზოგადოების რესპუბლიკურ კომიტეტს თავისი საქმიანობის პროფილის მიხედვით:

ა) გახსნას საქართველოს სსრ ქალაქებსა და რაიონებში მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან შეთანხმებით კლუბები, ხოლო ამ კლუბებთან ფასიანი კურსები I, II, III კლასის შოფრების, მოყვარული შოფრების, მოტოციკლების, მოტოროლერების მძღოლთა, კატარღების მემოტორეების, მესაჭეების, ტრაქტორისტების, მებულდოზერეების, რადისტების, მყვინთავების, რადიო და სატელევიზიო აპარატურის რემონტის ოსტატების მოსამზადებლად, აგრეთვე სპორტის ტექნიკურ სახეობათა ინსტრუქტორთა და მწვრთნელთა სკოლები.

კადრების მომზადება ტექნიკური პროფესიების მიხედვით მოაწყოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებული სასწავლო გეგმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მოაწყოს კლუბებთან სახელოსნოები იმ სასწავლო-სპორტული ტექნიკის შესაკეთებლად (ავტომობილები, მოტოციკლები, საცურაო საშუალებანი, რადიოტექნიკა, სასროლი იარაღები და სხვა მოწყობილობა), რომლებიც სახელმწიფო, საზოგადოებრივ, კოოპერაციულ ორგანიზაციებსა და აგრეთვე მოსახლეობას ეკუთვნის; ავტომობილების, მოტოციკლებისა და კატარღების ტექნიკური მომსახურების პუნქტები, აგრეთვე სახელოსნოები სასწავლო თვალსაჩინო ნივთების დასამზადებლად;

გ) მოაწყოს სანაოსნო სადგურები, სპორტული და სასწავლო ტექნიკის გასაქირავებელი პუნქტები, ხოლო ავტომოტოკლუბებთან, ადგილობრივ საბჭოებთან შეთანხმებით, ავტომანქანების, მოტოციკლებისა და მოტოროლერების სადგომები.

2. აეკრძალოთ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ყველა უწყებას, ორგანიზაციას და კერძო პირებს საცურაო საშუალებათა (კანჯოები, მოტორიანი ნავები, გლისერები, კატარღები) გამოყენება საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი საზოგადოების შესაბამისი ორგანიზაციების მიერ საჭირო ტექნიკური შემოწმების გარეშე.

3. დაევალოს საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკურ კომიტეტს დააზუსტოს იმ ორგანიზაციებისა და უწყებათა ნუსხა, რომელთა განკარგულებაშია საწყლოსნო და ნავგასაქირავებელი სადგურები, და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს შეთანხმებული წინადადებანი, რათა გადაეცეს ისინი შემდგომი ექსპლუატაციისათვის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობ ნებაყოფლობით საზოგადოებას.

4. დაევალოს რესპუბლიკის ყველა უწყებას, რომელთა განკარგულებაშია საცურაო პლაჟები, აწარმოონ მოქალაქეთა საბანაო ადგილების ყოველწლიური შემოწმება და ფსკერის გაწმენდა თავიანთი სახსრების ხარჯზე, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანიზაციებთან სახელშეკრულებო საწყისებზე.

5. ნება დაერთოს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკურ კომიტეტს მოაწყოს წყალსატევების მასობრივი გამოყენების ადგილებში ცურვის ფასიანი სწავლება მოსახლეობისათვის.

6. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ და სხვა დაინტერესებულმა სამინისტროებმა და უწყებებმა წარუდგინონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიას 1965 წლისათვის — ხოლო შემდგომ ყოველწლიურად — განაცხადები სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების მიხედვით საერთო პროფილის რადიოოპერატორებზე, მყვინთავებზე, სხვადასხვა პროფილის მემოტორეებზე, საერთო პროფილის რადიოტელეგრაფისტებზე, აგრეთვე შოფერთა გადამზადების კონტინგენტზე.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, დაწყებული 1965 წლიდან, გაითვალისწინონ საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების სასწავლო ორგანიზაციების ქსელის გაფართოება და სხვა ღონისძიებანი.

7. ნება დაერთოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, ავტომოტოკლუბების საავტომობილო პარკის შესავსებად გადასცეს უსასყიდლოდ საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანიზაციებს 8 მსუბუქი და 15 სატვირთო ავტომანქანა, რომლებმაც გაიარეს საამორტიზაციო გარბენა.

8. მიღებულ იქნას მხედველობაში, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 24 ივნისის № 23 საოქმო გადაწყვეტილებით:

ა) სსრ კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საარემონტო, საავტომობილო და მომარაგების ბაზები, საწარმოები, სახელოსნოები და გამომცემლობანი გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადის გადახდისაგან სამი წლის ვადით. სსრ კავშირის არძიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტს ნება დაერთო გამოიყენოს აღნიშნული სახსრები საზოგადოების საქმიანობის უზრუნველსაყოფად;

ბ) სსრ კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანიზაციებსა და საწარმოებზე გავრცელდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 24 იანვრის № 75 დადგენილება „სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის მიერ სახალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად ხარჯების დაკრედიტების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1964 წ. 12 სექტემბერი, № 581.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲝᲜᲓᲔᲥᲡᲘ — 76187

# СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 3 за 1964 год

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲘ: ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐ

ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ ᲓᲐᲡᲐᲑᲔᲭᲓᲐᲓ 17/X — 1964 წ. ᲥᲐᲦᲐᲚᲓᲘᲡ ᲖᲝᲛᲐ 60×90, ᲥᲐᲦᲐᲚᲓᲘ 16900, ᲜᲐᲑᲔᲭᲓᲘ ᲗᲐᲑᲐᲮᲘ 6,75, ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲠᲝ ᲗᲐᲑᲐᲮᲘ 5.0

ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲛᲐᲜ.

ᲗᲐᲠᲒᲛᲜᲘᲚᲘᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲘᲓᲐᲜ

ᲢᲘᲠᲐᲟᲘ 2500 ᲨᲔᲙᲕᲔᲗᲐ № 1214

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ
�თᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞ. № 8.